# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 237 (516) ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი.


## ნუხელ შევიტყვეთ

### სოხუმი: მოწინააღმდეგე აქტიურდება

16 ნოემბერს დაახლოებით 19 საათზე სოხუმში კვლავ გამოჩნდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი. მან რამდენჯერმე შემოუფრინა წყვდიადით მოცულ ქალაქს და რამდენიმე რაკეტა დაუშინა საქართველოს ჯარების პოზიციებს. საქართველოს საჰაერო თავდაცვის ძალებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს, რის შემდეგ თვითმფრინავმა გეზი აიღო გუდაუთისაკენ. მსხვერპლი და ნგრევა არ ყოფილა.

დაზვერვის მონაცემებისა და სამხედრო სპეციალისტთა დაკვირვების თანახმად, ბოლო დღეებში შეიმჩნევა აფხაზთა შეიარაღებული ძალების გააქტიურება სოხუმის ჩრდილოეთ გარეუბნებში, დივერსიული ჯგუფების თავმოყრა და გადაჯგუფება მთის სოფლების ახალშენისა და კამანის მიდამოებში. ასეთივე გააქტიურება შეიმჩნევა ზღვის მხრიდანაც. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ჯარების სარდლობა საჭირო ღონისძიებებს მიმართავს.

თენგიზ ჯიბუტი.

●

აფხაზეთის საკითხებში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა, გიორგი ხაინდრავამ გააკეთა შემდეგი განცხადება: დღეს, 17 ნოემბერს 12 საათსა და 05 წუთზე საარტილერიო სროლის შედეგად დაიბომბა სოხუმის დასახლებული რაიონები, ჭურვები სკდებოდა აგრეთვე უშუალოდ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ახლოს, სადაც არიან ლტოლვილები აფხაზი სეპარატისტების მიერ დროებით ოკუპირებული რაიონებიდან. არიან დაჭრილები.

აფხაზ სეპარატისტებს თავის დროზე წავუყენეთ ულტიმატუმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ თუ არ შეწყდებოდა ქალაქის საცხოვრებელი რაიონების დაბომბვა, ქართული მხარე საპასუხოდ დაბომბვით უპასუხებს ახალ ათონს, ტყვარჩელსა და გუდაუთას. პასუხისმგებლობა მოსალოდნელი შედეგებისთვის დაეკისრება აფხაზთა მხარეს.

ია კალანდარიშვილი.
(სოხუმი. ტელეფონით)

●

### შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა

ბათუმი, 17 ნოემბერი. (საქინფორმის კორ. თამაზ გენძეხაძე). 16 ნოემბერს 15 საათზე შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა აჭარის დედაქალაქთან. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა ბათუმის სახაზო დისტანციის უფროსის მოადგილემ თემურ კვაჭაძემ, ჩაქვ-ქობულეთის ერთ-ერთ მონაკვეთზე ზღვის ტალღამ გადარეცხა ლიანდაგის მიწაყრილი. წაიქცა საკონტაქტო ხაზის რამდენიმე საყრდენი. შემთხვევის ადგილზე მივიდა სარემონტო ბრიგადა. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. როგორც რკინიგზელებმა თქვეს, მოძრაობას დროებით გახსნიან, მაგრამ მხოლოდ სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადამტანი შემადგენლობებისათვის, რომლებსაც ამ მონაკვეთზე თბომავლები გაატარებენ. შემდეგ რკინიგზის სრული აღდგენისთვის მუშაობას ენერგეტიკოსები შეუდგებიან.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

---

## 100 წლის გალაკტიონ ტაბიძე

# „შენ უკვდავების ხარ ბინადარი"

იმძლავრა პოეზიამ, მოერია ირგვლივ გამეფებულ შუღლსა და მტრობას, სისასტიკესა და დაუნდობლობას, ქვემეხების ქუხილსაც აჯობა და გვაგრძნობინა, რაგინდ ჭირიც უნდა გვჭირდეს, აუცილებელია „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა".

ეს გალაქტიონია — ჩემი, შენი, ჩვენი გალაქტიონი... საოცრად ახლობელი და საოცრად ამოუცნობი, ასი წლის — მარად ჭაბუკი, საქართველოს პოეტების მეფე... შემოაბიჯა მან საოპერო თეატრში და რამდენიმე საათით დაგვავიწყა დღევანდელი ქართლის ჭირი... ეს კი აუცილებელი იყო ყოველი თვალსაზრისით, თუნდაც იმიტომ, რომ ხალხმა ირწმუნოს: — არც ისეთი საქმე, მართალია, ომი გვაქვს გადამთიელთან, მაგრამ იუბილეც არ დაგვავიწყდება ამ საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტისა.

საიუბილეო საღამოს დაწყებამდე პოეტ ლადო სულაბერიძესთან ვსაუბრობდი.

— ამ რამდენიმე დღის წინ, — მეუბნება ბატონი ლადო, — მშობელ კუთხეში, ჭყვიშში გადავუხადეთ გალაქტიონს დაბადების 100 წლისთავი. რომ იცოდეთ, როგორ გახალისდა, გალაღდა მთელი ვანი იმ დღეს. მე იქაური კაცი ვარ, ბევრი ნაცნობ-მეგობარი მყავს და მეუბნებოდნენ — შიმშილიც დაგვავიწყდა, ძმაო, და სიცივეც, ცოტა ჯუნგლებში მოვიდითო...

ეს განწყობილება იყო წუხელ თბილისშიც, ეროვნულ საოპერო თეატრში. თუმცა, არც გაჭედილ დარბაზში (ის კი არა, მაყურებლის სინაკლულეშიც კი), მაინც სუფევდა გალაქტიონი, მას იგონებდნენ, მის ლექსებს ამბობდნენ, უმღეროდნენ... მისმა „ძმიკოებმა" — მურმან ლებანიძემ, გივი ალხაზიშვილმა, ჯურამ გვერდწითელმა, გივი გეგეჭკორმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, ვახტანგ ჯავახაძემ — შესანიშნავი საჩუქარი უძღვნეს „სულიერ მამას", ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე" გამოსცეს და საიუბილეო საღამოზე შეაგებეს მკითხველს.

საღამო გახსნა და წარუძღვა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ჯურამ ფანჯიკიძე. მერე კი ერთმანეთს ცვლიდნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მხატვრები, ახალგაზრდები — გრიგოლ აბაშიძე და ვახტანგ გოგუაძე, ჯუნა მიქატაძე და რეზო ჭეიშვილი, თინგიზ ბუაჩიძე და იზა ორჯონიკიძე, ჯანსუღ ღვინჯილია და თინათინ დოლაბერიძე, რევაზ მიშველაძე და ლია სტურუა, დავით მაღრაძე და მიხეილ ქვლივიძე...

საღამოს ესწრებოდა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

იყო მშვენიერი კონცერტი — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ქართული ხელოვნების ოსტატების მონაწილეობით (ვაითუ, ვინმე გამომრჩეს და ვერ ვასახელებ ცალცალკე), გადმოსცქეროდა დარბაზს „მარტოობის ორდენის კავალერი", დღეს — ამაღლებული, ქართველი კაცის განუყრელი თანამგზავრი ჭირსა და ლხინში, მისი გულის მესაიდუმლე, უკვდავების ბინადარი მგოსანი.

ვილენ მარდალეიშვილი.

• • •



სურათზე: გალაქტიონ ტაბიძის 100 წლისთავის საიუბილეო საღამო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ სახელმწიფო თეატრში.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

---

# პარლამენტი განიხილავს აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას

17 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დახურულ სხდომაზე განიხილა „აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის" საკითხი.

თავისი ვრცელი გამოსვლის შესავალში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

— ჩემი დღევანდელი გამოსვლა პარლამენტში ერთ-ერთი პირველი გამოსვლაა სახელმწიფოს მეთაურის რანგში და იგი ხშირედ აფხაზეთს ეძღვნება. ამის მიზეზიც და მოტივიც, ცხადია, ყველასათვის გასაგებია. დღეს, აფხაზეთში წყდება საქართველოს ბედი და, შეიძლება ითქვას, არა მარტო საქართველოსი, ამ რეგიონის მონაკვეთში ხომ ევრაზიის საზღვარი გადის!

— ჩემს გამოსვლას, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — მოხსენებას ვერ დავარქმევ. ამ საკითხზე საფუძვლიან მოხსენებას, ალბათ, საფუძვლიანი საპარლამენტო მუშაობა სჭირდება, მაგრამ ის, რაც ხელთ მაქვს და ახლა წარმოგიდგენთ, უთუოდ საკმარისი მასალაა განსჯისა და მსჯელობისათვის. ეს გახლავთ ჩემი ხმამაღალი ფიქრები, თუ შეიძლება ასე ითქვას; ეს ის მასალაა, რომელიც პირადად დამიგროვდა და რომელიც ჩემმა კოლეგებმა და მათ შორის დეპუტატებმაც და სხვებმაც მომაწოდეს.

— ჩემი აზრით, — ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს მასალა განხილვისა და შევსების შემდეგ, შესაძლოა გახდეს მომავალი საპარლამენტო დოკუმენტის საფუძველი, დოკუმენტისა, რომელიც მთლიანად მოიცავდა ქართველი და აფხაზი ხალხების თანაცხოვრების ისტორიას და თანამედროვეობას და დაეგზავნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

გამოსვლის დასასრულს, სახელმწიფოს მეთაურს დეპუტატებმა მრავალი კითხვა დაუსვეს, რომლებსაც მან პასუხი გასცა. შემდეგ პარლამენტი შეუდგა საკითხის განხილვას.

პარლამენტის მუშაობა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

---

## თენგიზ სიგუა: ირანთან ურთიერთობას კარგი მომავალი აქვს

— ჩვენ მივესალმებით საქართველოსა და ირანს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების გაფართოებას, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, როდესაც მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და კავკასიის რესპუბლიკების დეპარტამენტის უფროსი ბატონი ბაჰრამ ყასიმი. — ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ხელშეკრულების მთელ რიგ პაკეტებზე, რომელიც მომზადდება თეირანში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტისათვის. მართალია, — განაგრძო ბატონმა თენგიზ სიგუამ, — ჩვენ მაისში დავამყარეთ დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ ამ ხანმოკლე დროშიც უკვე ბევრი რამ გაკეთდა. დაისახა ფართო პერსპექტივები თანამშრომლობის, თანამეგობრობისათვის. გამოვთქვამ რწმენას, რომ ირანთან ურთიერთობას კარგი მომავალი აქვს.

ბატონმა თენგიზ სიგუამ გააცნო საპატიო სტუმარს საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, 11 ოქტომბერს გამართული დემოკრატიული არჩევნების შედეგები, პარლამენტის მუშაობა.

ბატონმა ბაჰრამ ყასიმმა დიდი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის. — ჩვენ მოუთმენლად ველით ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტს ირანში, — განაცხადა მან. — ჩემი ჩამოსვლის უშუალო მიზეზია ამ ვიზიტისა და დიდი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების მომზადება.

შემდეგ მხარეებმა დეტალურად განიხილეს ხელშეკრულებები სხვადასხვა დარგში. კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ ხელშეკრულება ტრანსპორტის დარგში უკვე მზადაა. გაიმართა საუბარი ირანიდან გაზის მოწოდების გზებზე.

მხარეების ყურადღება მიიპყრო საბანკო სისტემის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, კულტურის, დელეგაციათა გაცვლის ხელშეკრულებათა პაკეტებმა. გამოითქვა სურვილი, მიაღწიონ პირდაპირ საჰაერო კავშირს, რაც გააადვილებს მიმოსვლას ორ ქვეყანას შორის.

საპატიო სტუმარმა გამოთქვა აზრი, რომ, რაც შეიძლება მალე უნდა გაიხსნას ირანის საელჩო თბილისში. იგი არა მარტო განამტკიცებს ორი ქვეყნის ურთიერთობას, არამედ შეძლებს დააკავშიროს სპარსეთის ყურის სახელმწიფოები შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებთან.

მხარეებმა გადაწყვიტეს შექმნან საქართველო-ირანის მუდმივმოქმედი ეკონომიკური კომისია.

---

აქტუალური ინტერვიუ

რამაც ფეხზე უნდა დაგვაყენოს

# მარტო ჩაი გვარჩენს?

ოღონდ დამოუკიდებელნი ვიყოთ და შიმშილით არ დავიხოცებით, სხვა რომ არაფერი, მარტო „ჩაი" გვარჩენს, მარტო „ღვინო" შეგვეინახავს, მარტო „ბორჯომი" გვაცხოვრებს — ხშირად გაიგონებდით ამ სიტყვებს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული ლიდერებისა თუ რიგითი მომიტინგეებისაგან. ახლა, როცა ემოციები დაცხრა და ხუვერენული საქართველო სიღატაკის ზღურბლზე აღმოჩნდა, საეჭვოა კიდევ ვინმე იკვებებოდეს ასეთი ილუზიებით, მაგრამ პირველ რიგში იმ დარგებს რომ უნდა მივხედოთ, რომლებსაც ჩვენი ეკონომიკის ფეხზე წამოყენება შეუძლიათ, ეს კი ფაქტია, ერთ-ერთი ასეთი დარგი ჩაის მრეწველობა გახლავთ.

გვესაუბრება საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქჩაის" უფროსი ბატონი ლენგი ხარებავა.

— ვიდრე დარგის პრობლემებს შევეხებოდეთ, — გვეუბნება ბატონი ლენგი, — ალბათ, უპრიანი იქნება ჩვენში ჩაის კულტურის ისტორიას გადავხედოთ ძალიან მოკლედ. მართალია, საქართველო დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად ჩაის მწარმოებელ ქვეყანად ითვლება, მაგრამ ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ამ კულტურამ ჩვენში გავრცელება მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო, პირველი სამრეწველო პლანტაციები კი 90-იან წლებში გაშენდა. რაც შეეხება ჩაის სამრეწველო გადამუშავებას, ფართო მასშტაბი მან მხოლოდ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში მიიღო. პლანტაციები უპირატესად გაშენებულია ჩინური ჯიშებით, საიდანაც ჩვენმა სელექციონერებმა შემდეგ უხვმოსავლიანი ჯიშები გამოიყვანეს. ბოლო წლებში ჩაქვში ინდური ჩაის ბუჩქიდან კლონური სელექციის გზით გამოყვანილია ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

— **მაგრამ სად არის ეს საუკეთესო პროდუქცია? მას დღეს ვერც ჩაის ფაბრიკაში ნახავთ, ვერც მაღაზიაში და ვერც ოჯახში. ერთ დროს სახელგანთქმულ ქართულ ჩაის აღარც ფერი შერჩა, აღარც გემო და აღარც სურნელი. რა მოხდა?**

— ისეთი განსაკუთრებული არაფერი, სხვა დარგებისათვისაც რომ არ იყოს ნიშანდობლივი. აბა, დამისახელეთ ისეთი დარგი ან პროდუქცია, რომელსაც სოციალისტურმა ეკონომიკამ თავისი სახე და ღირსება არ დაუკარგა, სწორედ ხარისხისა და ღირსების შელახვისათვის „ზრუნვა" იყო ტიპიური ნიშანი ამ ეკონომიკისათვის.

ამას ვერც ქართული ჩაი გადაურჩა. მახსოვს, პირველი განგაში 1974 წელს ავტეხეთ, რამდენიმე „მაღალი რანგის" დადგენილებაც მივიღეთ, რომლებსაც ხარისხის პრობლემა უნდა გადაეჭრათ, მაგრამ საქმე წინსვლის მაგიერ უკუღმა დატრიალდა. სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა — ჩაის პლანტაციები იგივე რჩებოდა, გეგმები კი ყოველწლიურად იზრდებოდა. იყო ამის „დასაბუთებაც" — საქართველოს მაქსიმალურად უნდა დაეკმაყოფილებინა ჩაიზე იმპერიის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება, რაც არარეალური ამოცანა გახლდათ.

— **ეს მაშინ, ბატონო ლენგი, მაგრამ ახლა რაღა გვემართება? იმპერიის ყურმოჭრილი ყმები აღარა ვართ, მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობაც 594 ათასიდან წლეულს 204 ათას ტონაზე ჩამოვიდა, ხარისხი კი...**

— გინდათ თქვათ, რომ იგივე დარჩა? მართალი ბრძანდებით, ხარისხში მკვეთრი გარდატეხა ჯერჯერობით არ მომხდარა, მაგრამ ეს პროცესი რომ დაიწყება, ფაქტია. რაც შეეხება ნედლეულის რაოდენობის ასეთ მკვეთრ დაცემას, ამის მიზეზი უფრო მეტად საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამეგრელოში შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში უნდა ვეძებოთ და არა ხარისხისათვის ზრუნვაში. წლეულს ზაფხულში იქ ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მეჩაიეს აღარც შრომისთვის ეცალა და აღარც ხარისხისთვის. ერთადერთნი მხოლოდ ლანჩხუთელები აღმოჩნდნენ, რომელთაც დავალება შეასრულეს.



— **ეს გასაგებია, მაგრამ ქართული ჩაის ღირსების დამცრობას ბევრი გადიდებულ გეგმებთან ერთად პლანტაციებში ჩაის საკრეფი მანქანების გამოჩენასაც აბრალებს.**

— ამ თვალსაზრისს კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. პირიქით, თუ სადმე სამართალია, მადლობა უნდა ვუთხრათ ქართველ კონსტრუქტორებს, რომელთაც მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს ეს უნიკალური მანქანა. უხარისხობის ცოდობრალს მანქანას ნუ ავკიდებთ, ამაში ერთადერთი დამნაშავე, წელანაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ტოტალიტარული ეკონომიკაა, რომელმაც არ მისცა საშუალება მეჩაიეს ხარისხიანად ეშრომა. აქ მთავარია გავარკვიოთ, რა აიძულებს ადამიანს ხელით ან ტექნიკით ცუდად იმუშაოს? რა და, მატერიალური დაუინტერესებლობა. მან კარგად და ხარისხიანად რომ იშრომოს, დაინტერესება უნდა, ჰქონდეს. სწორედ ეს მოუსპო მას სოციალიზმმა. მახსოვს მთელი 30 წლის მანძილზე კილოგრამ ჩაის ხელით კრეფაში 30 კაპიკს უხდიდნენ. იცვლებოდა დრო, ძვირდებოდა ცხოვრება, მეჩაიის ანაზღაურება კი გაყინული იყო. ასეთ პირობებში რომელი ჭკუათმყოფელი იშრომებდა გულიანად?

ასე შეიწირა იმპერიის ინტერესებმა ქართული ჩაის ინტერესები, რომელმაც ამ უკანასკნელს ჩასახვისთანავე მიზნად დაუსახა ჩაის პროდუქტზე საკავშირო დეფიციტის მაქსიმალური შემცირება. ამით ცენტრი ჩაის იმპორტზე კი ამცირებდა სავალუტო დანახარჯებს, მაგრამ საზიანო ორიენტაციით ვითარდებოდა დარგი საქართველოში, რასაც მოჰყვა ფოთლის ხარისხისა და მისი გადამუშავების ტექნოლოგიის დეგრადაცია, ჩვენებური ჩაის ღირსებისა და ავტორიტეტის დაცემა.

— **მოგეხსენებათ, სახელის გატეხა ადვილია, მისი ხელახლა მოპოვება კი ძნელი. რა გზებით ვაპირებთ ძველი ღირსების დაბრუნებას?**

— ჩვენდა სასიკეთოდ, ეს პროცესი უკვე დაიწყო. მეჩაიეობაში მაქვს საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, რომელიც მეჩაიეობაშიც ინერგება. ამის პირველი ნიშანი ის გახლავთ, რომ როგორც ჩაის ნედლეულზე, ისე პროდუქციაზე შარშანდელი სექტემბრიდ-

(დასასრული მე-2 გვ.).

---

## ნომერში


⊙ ცოტნეს ერთგულებით ვემსახუროთ საქართველოს! 2

⊙ საქმე დაიძრა, დაკონსერვებულ ობიექტებს პატრონი ეყოლება. 3


## სამხედრო ექსპერტები მუშაობას შეუდგნენ

— სამხედრო გზით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ძალზე რთულია. თუ ქართული მხარე შეტევაზე გადავა და გუდაუთას აიღებს, აფხაზები დაიწყებენ პარტიზანულ ომს, ჩრდილოკავკასიელთა ფორმირებები კი კვლავ შემოაღწევენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ ჩვენ გთავაზობთ გამონახოთ პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზები, — განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯავშანსატანკო ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრე გალკინმა. 16 ნოემბერს რუსეთის სამხედროთა ჯგუფი მისი მეთაურობით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს.

გენერალი გალკინი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა როგორც სამხედრო ექსპერტთა დელეგაციის მეთაური, რომელმაც რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში 17 ნოემბერს დაიწყო მოლაპარაკება თბილისში მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველოსა და რუსეთს შორის ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერის მომზადების თაობაზე. ეს არის მუშაობის გაგრძელება ხელშეკრულებაზე, რომელიც შეიცავს ისეთ პუნქტებს, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის სრულიად განსხვავებულ მხარეებს რომ ეხება. მათ შორის არის პუნქტი რუსეთის ჯარების სტატუსის შესახებ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენენ ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქებს. სხვათა შორის, ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაშია საჰაერო თავდაცვის სპეციალისტი — რუსეთის საჰაერო თავდაცვის ჯარების მთავარი შტაბის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ აქსიონოვი..

შეეხო რა რუსეთსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ურთიერთობას, ალექსანდრე გალკინმა უარყო პრესაში გამოჩენილი ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს გაისად ნოემბერში რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაიმართება ორივე სახელმწიფოს ჯარების ერთობლივი წვრთნა. „1995 წლამდე რუსეთის თავდაცვის სამინისტროში არ არის დაგეგმილი არავითარი წვრთნა საქართველოს ტერიტორიაზე", — თქვა მან.

გენერალმა უარყო აგრეთვე საქართველოს მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების ცნობა, თითქოს აფხაზეთის ხელმძღვანელობას დაედოს საიდუმლო ხელშეკრულება რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან ერთიანი სამხედრო სივრცის შექმნის თაობაზე. „ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია", — აღნიშნა რუსეთის სამხედრო ექსპერტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობას შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში შეხვედრის მონაწილე რუსეთის სხვა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები, თუმცა ეს საკითხი ოფიციალურად არ განიხილება ამ მოლაპარაკებაზე. მაგალითად, საგანგებო დავალებათა ელჩმა ფელიქს კოვალიოვმა, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის პირადი თხოვნით მეთაურობს ამ ქვეყნის დელეგაციას საქართველოსთან მოლაპარაკებაზე, თქვა, რომ მხარს უჭერს აფხაზეთში შექმნილი ვითარების კონტროლისა და ინსპექციისათვის სამხედრო კომისიის შექმნას და მიმდინარე წლის 3 სექტემბერს მოსკოვში მიღწეულ მორიგებათა შესრულებას.

რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში ვლადიმერ ზემსკიმ კი განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხელმძღვანელობა გმობს ჩრდილოკავკასიელ წარმომადგენელთა ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში, მაგრამ არ ძალუძს რეალურად გადაუკეტოს გზა მათ შემოღწევას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აღინიშნა, რომ რუსეთისა და საქართველოს ექსპერტებს კონსულტაციები აქვთ აფხაზეთის საკითხზე და შესაძლებელია, რომ შემდგომში მას განიხილავენ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

მოლაპარაკება საქართველოსა და რუსეთს შორის დიდი ხელშეკრულების ხელმოწერის მომზადების შესახებ 20 ნოემბრამდე გასტანს.

---

## სინამდვილე კი ასეთია!

### აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრის განცხადება

14 ნოემბერს ქალაქ სოხუმში სამხედრო პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნა რუსეთის მოქალაქე ეკატერინე გლებოვა, რომელიც სამხედრო ფორმაში იყო ჩაცმული და თავისი მოქმედებით მიიქცია სამხედრო პოლიციის ყურადღება. ე. გლებოვამ განაცხადა, რომ ის არის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტი და ამის დამადასტურებელი საბუთებიც წარმოადგინა, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ იქნა განთავისუფლებული.

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებანი: ე. გლებოვა რედაქციის მიერ მოვლინებული იყო გუდაუთასა და სოხუმში, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე რეპორტაჟის მოსამზადებლად. იგი ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა გუდაუთაში და აგროვებდა მასალებს. მისივე განცხადებით, ობიექტურობისათვის აუცილებელი იყო სოხუმში ჩამოსვლა, რისთვისაც მან მხოლოდ ერთი საათის გამონახვა შეძლო და ისიც აფხაზთა მიერ მიცემული მისამართების შესამოწმებლად გამოიყენა.

ჩვენს შეკითხვაზე, ერთი საათის განმავლობაში, როგორ უნდა მოეხერხებინა სოხუმში არსებულ ვითარებაზე ობიექტური ინფორმაციის მიღება, მან გვიპასუხა, რომ ხელთ ჰქონდა აფხაზთა კუთვნილი ბინების მისამართები და სურდა დარწმუნებულიყო, გაძარცვული იყო თუ არა ისინი.

ჩვენ დავინტერესდით, იცოდა თუ არა მან, რომ სოხუმში სხვა ეროვნების პირებიც იყვნენ გაძარცვული, მან აღნიშნა, რომ ჰქონდა ინფორმაცია — რუსების, ბერძნების, სომხების ბინების გაძარცვის თაობაზე. როდესაც შევახსენეთ, გვიჩვენებინა ქართველთა გაძარცვული ბინები, რათა იგი დარწმუნებულიყო, რომ ქურდები და მაროდიორები ბინებს მოქალაქეთა ეროვნების განურჩევლად ძარცვავენ, მან განაცხადა, რომ ხაამისოდ არ სცალია.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჩათვალა ე. გლებოვამ საჭიროდ მთავარი შტაბის პრესცენტრში აკრედიტაციის გავლა, თუნდაც უსაფრთხოების გარანტიის მისაღებად, მან გაგვიმეორა, რომ ამისათვის არ ეცალა. ხოლო, როდესაც ე. გლებოვას შევთავაზეთ 2-3 დღით სოხუმში დარჩენილიყო ინფორმაციის მისაღებად, გვიპასუხა, ძალიან შეშინებული ვარ და ორი-სამი დღის შემდეგ გუდაუთაში ვეღარ დავბრუნდებიო.

ღამით ე. გლებოვასთან ჩვენი ურთიერთობა დამთავრდა, მან საუბრის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და დაგვშორდა, მაგრამ მის პიროვნებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება:

ამა წლის 18 ოქტომბრის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტში" გამოქვეყნდა ე. გლებოვას წერილი აფხაზეთის ამბებზე, სადაც ავტორი ვითარებას ძირითადად „იმ მხრიდან" დანახული ადამიანის თვალით გადმოსცემს, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მოკლედ, მაგრამ მაინც ახსენებს იმ მკვლელობასა და ძარცვა-მარადიორობის ფაქტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქართული მოსახლეობის მიმართ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საინტერესოა, რომ ე. გლებოვამ ვერც ოქტომბერში შეძლო „ამ მხარეს" მოხვედრა, რის გამოც მისი წერილი აშკარად ცალმხრივია, ამას თვით ავტორიც აღნიშნავს, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ე. გლებოვა არც ნოემბერში შეეცადა „აქეთ მოხვედრას" და შემდგომი რეპორტაჟისათვის კვლავ ცალმხრივ მიღებული ინფორმაციით დაკმაყოფილდა.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევასთან დაკავშირებით, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" მთავარ რედაქტორს გაეგზავნა ოფიციალური შეტყობინება.

ილიკო ბოგვერაძე.

# მარტო ჩაი გვარჩენს?

(დასასრული)

ან ფასები განთავისუფლდა. იქმნება პირობები იმისა, რომ ვინც უკეთეს ჩაის მოკრეფს, და უკეთესად გადაამუშავებს, ის მეტ ანაზღაურებას მიიღებს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ალბათ უნდა დაჩქარდეს მეჩაიეობაში დაწყებული მიწის პრივატიზაცია, რომელიც პროდუქციის ხარისხის პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის. იქნება კერძო სექტორი, იქნება კონკურენციაც და ბუნებრივია ხარისხიც.

მაგრამ ამ საქმის თვითდინებაზე მიშვება არ ივარგებს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კერძო სექტორში სამუშაო პირობების შექმნისა და მისი განვითარებისათვის, თორემ ადვილი შესაძლებელია გლეხმა ჩაის პლანტაცია გაჩეხოს (ამის ფაქტები უკვე არის) და სანაცვლოდ სიმინდი მოიყვანოს. ამას რომ ვამბობ, სხვა პრობლემების გადაჭრასთან ერთად, პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ჩაის პლანტაციების დასამუშავებელი და საკრეფი ტექნიკა. უნდა შეიქმნას მცირე ფართობებში მომუშავე ტექნიკა, რომელსაც მესაკუთრე ხელსაყრელ ფასებში შეიძინს და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჩაის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ჩვენმა მეცნიერებამ, რომელთაც სერიოზული მონაპოვრები აქვთ ჩაის აგროტექნიკაში, აგროქიმიაში, სელექციაში, მექანიზაციაში, ნედლეულის და მისი გადამუშავების ბიოქიმიასა და ტექნოლოგიაში. მაგრამ საჭიროა ეს მეცნიერული ნაშრომი ყოველდღიურად [illegible] ახალი შედეგებით, რათა დარგის განვითარების პროცესი პერმანენტული იყოს. გულსატკენია, რომ რესპუბლიკაში ჯერჯერობით მხოლოდ ჩაის ფაბრიკების საშუალებით ხდება მეცნიერული პროგრამების დაფინანსება. მართალია, მთავრობის დადგენილებით ამ მიზნით პროდუქციის თვითღირებულებაში განსაზღვრულია 1,5 პროცენტი ანარიცხების ცენტრალიზება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დავალება მალხე ცუდად სრულდება, რამაც შეიძლება მძიმე შედეგები გამოიღოს.

— ეს — მეურნეობაში, მაგრამ როგორ წარიმართება პრივატიზაცია თქვენთან, ჩაის მრეწველობაში?

— ჩვენთან პრივატიზაცია ჯერ არ დაწყებულა (ამის ვადებს ალბათ მთავრობა დაადგენს), მაგრამ დაიწყო სხვა პროცესი — კერძო სექტორის შექმნა. რესპუბლიკაში უკვე მუშაობს 30-ზე მეტი ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც კერძო პირებმა გახსნეს. ეს ბუნებრივი პროცესია და მაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ მას რომ მართვა და ხელშეწყობა სჭირდება, ეს კი ფაქტია. ასეთი საწარმოები, იმის გამო, რომ [illegible] არ გააჩნიათ ან ვერ შოულობენ საჭირო დანადგარ-მოწყობილობებს, ნედლეულს პრიმიტიულად ამუშავებენ და ქართული ჩაის ხარისხს კიდევ უფრო აქვეითებენ. სანამ [illegible] არ არის, მათ უნდა მივეხმაროთ, თორემ ადვილი შესაძლებელია ეს პროცესი საზიანოდ შემოგვიბრუნდეს.

რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას (რესპუბლიკაში 150-მდე ჩაის პირველადი გადამამუშავებელი საწარმო და 22 დამფასოებელი ფაბრიკა მუშაობს), ვფიქრობ, ვიდრე მას დავიწყებდეთ, ყველაფერი გულდასმით უნდა გავაანალიზოთ, [illegible] ჩემი შეხედულებით, უკეთესი იქნება ჩაის საწარმოების გაერთიანების [illegible] პირობებს შევქმნით [illegible] უფრო გამოსადეგი იქნება, ვიდრე მათი კონკურსით ან აუქციონით გაყიდვა.

— ეს ასეა. მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? მოგეხსენებათ, ჩაი საერთაშორისო ბაზარზე [illegible] ხომ არ დაზარალდება?

— რა თქმა უნდა, კერძო სექტორისთვის საწარმოების ერთბაშად და მთლიანად გადაცემა რესპუბლიკის ეკონომიკის [illegible] გამო არ იქნება. აქციების ნაწილი გარკვეული დროით სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს, რათა მას შეეძლოს ჩაის რესურსების ნაწილი გამოიყენოს სტრატეგიული დანიშნულებით, ვთქვათ, ენერგეტიკული [illegible] რის სანაცვლოდაც ქვეყანაში შემოვა [illegible] გაზი, ნავთობი ან სხვა რამე, რაც ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის დეფიციტურია. ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის კვალობაზე სახელმწიფომ თანდათან (ყოველწლიურად) უნდა გაყიდოს აქციები კერძო სექტორზე.

— მაგრამ რა ვუყოთ ფასებს? ფასთან ერთად ხარისხიც რომ იზრდებოდეს კიდევ ახატანია, მაგრამ ამის მსგავსი რომ არაფერი ხდება? ხომ არ შეიძლება დაუსრულებლად ვსარგებლობდეთ იმით, რომ ჩაიზე მონოპოლია გვიპყრია და ნიადაგ ფასებს ვადიდებდეთ?

— მერწმუნეთ, ეს ჩვენც ძალიან გვაწუხებს. დასანანია, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა საქართველოში წარმოებული ჩაის მხოლოდ 2 პროცენტს ხმარობს და მასაც მამასისხლად იძენს, მაგრამ სხვა გამოსავალი ამჟამად არა გვაქვს. საბაზრო ეკონომიკის ლოგიკას ვერავინ გაექცევა, როგორც პროდუქცია გვიჯდება, ისე ვყიდით. რაც შეეხება ჩაიზე მონოპოლიას, არა მგონია ეს ჩვენთვის მაინც და მაინც ხელსაყრელი იყოს. მართალია დღეს როგორი ხარისხის ჩაიც არ უნდა იყოს, მაინც იყიდება (სხვა არ არის და იმიტომ), მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება. დღეს თუ არა, ხვალ და ზეგ მაინც შემოვა საზღვარგარეთული პროდუქცია, ბაზარი ნაირფერი საქონლით გაჯერდება და მაშინ დღევანდელი უხარისხო ჩაის რეალიზაცია შეუძლებელი გახდება. ასე რომ, მომავალს თუ დღევანდელი რეალობის ილუზიით შევხედავთ, ქართული ჩაის ბედს ხიფათში მოვაქცევთ. ეს რომ არ მოხდეს, საბაზრო კონკურენციისათვის აქედანვე უნდა ვემზადოთ.

— ამაში მნიშვნელოვან როლს ალბათ ჩაის ფოთლის გადამამუშავებელ საწარმოთა თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვა შეასრულებს.

— მართალი ბრძანდებით. ზემოთ ჩვენ ნედლეულის ხარისხზე გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ არც გადამამუშავებელ და დამფასოებელ საწარმოებში გვაქვს კარგად საქმე. აქ მომუშავე დანადგარები ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია, რაც თავის დაღს ასვამს პროდუქციის ხარისხს. ეს პრობლემა, ვფიქრობ, ორი გზით უნდა გადავწყვიტოთ: საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარებით (რაც [illegible]) და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, ორივე მიმართულებით გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. ენერგიულად ვთანამშრომლობთ ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანასთან. შემდგომი საქმეა საზოგადოება „მარსი“, რომელშიც გაერთიანებ[illegible]

ტიკური სტაბილიზაცია, იგი მზად არის ჩვენთან შექმნას ერთობლივი საწარმო, რომელიც წელიწადში 10 ათას ტონა მზა პროდუქციას მოგვცემს. ამ რაოდენობის მაღალხარისხოვანი ჩაი სულ ცოტა 12 მილიონ დოლარს შემოგვიტანს ყოველწლიურად.

— ეს კარგია, მაგრამ ვიდრე რეალურად ხელში არაფერი გვიჭირავს, ალბათ რუსულ ბაზარს ზურგი არ უნდა შევაქციოთ.

— რა თქმა უნდა, უპირველესად უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ რუსეთის ბაზარი (სხვა რესპუბლიკებისაც) არ დავკარგოთ, მაგრამ პარალელურად გავიდეთ მსოფლიო ბაზარზეც. რატომ არ უნდა ვისარგებლოთ იმ პერსპექტივით, რომელიც გაგვაჩნია? მშვიდობიანი შრომის პირობებში 100 ათასი ტონა ჩაის პროდუქცია საქართველოში ყოველთვის დამზადდება, რაც დაუფასოებელი ჩაის ღირებულებით წლიურად 100-120 მილიონ ამერიკულ დოლარს უტოლდება. ეს თანხა, რა თქმა უნდა, ქვეყანას ვერ არჩენს, მაგრამ მისი ბიუჯეტის დეფიციტის შევსების სტაბილური წყარო იქნება.

— ამ სიმდიდრის სრულად გამოყენება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ მომავალში ვინ მართავს დარგს, რამდენად მოქნილი და ოპერატიულია მისი რესპუბლიკური მმართველობის ორგანო?

— ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს ჩვენი საქმიანობის ყველაზე მტკივნეული რგოლია. საკითხის სირთულეზე და აქტუალობაზე თანაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე სამჯერ მოხდა აგროკომპლექსის, მათ შორის ჩვენი გაერთიანების რეორგანიზაცია. ვფიქრობ, რომ მოსალოდნელია მეოთხეც, რომელიც ალბათ უფრო შორს გამიზნული იქნება და სტაბილური მუშაობის პირობებს შექმნის. რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართვის მოძველებული ფორმა — რესპუბლიკური გაერთიანება „საქჩაი“ ვერ უზრუნველყოფს ოპტიმალური პარამეტრებით და საჭირო ინტენსიობით დარგის განვითარებას.

რა გზით უნდა ვიაროთ? იმ გზით, რომელიც გააერთიანებს ჩაის ნედლეულის მწარმოებლისა და გადამამუშავებლის ინტერესებს. საბაზრო ეკონომიკა [illegible] დარგში ერთიანი ტექნოლოგიური ციკლი, განვითარება [illegible] ვიწრო პროფესიული ინტერესები. [illegible] გახდება. იმ [illegible] ყველაზე მთავარი — პროდუქციის ხარისხი.

ამის ანარეკლი გახლავთ თუნდაც წლევანდელი უთანხმოება ნედლეულის მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს შორის ჩაის ფოთლის ხარისხსა და ფასზე.

[illegible] რომ მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებში [illegible] ნედლეულის წარმოება და გადამუშავება ერთმანეთისაგან მოწყვეტილი არ არის. იქ მწარმოებლებს პლანტაციებიც აქვთ და ჩაის ფაბრიკებიც. ეს კი არა, მე ისიც მომწონს, რომ ღმერთისგან ნაბოძები სიმდიდრე — საქართველოს მთელი სუბტროპიკული ზონა ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურით იმართებოდეს. დიახ, თუ გვინდა, რომ საქმეს დისციპლინა დავუბრუნოთ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და გადამუშავების ერთიანი მართვის სტრუქტურა უნდა შევქმნათ. მნიშვნელობა არა აქვს რა ფორმით (დეპარტამენტი, კონცერნი, ასოციაცია, გაერთიანება) წარმოგვიდგება იგი, მთავარია ის რესპუბლიკის აგროკომპლექსში დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდეს.

დარგის მართვაში გადასაწყვეტელია ერთი მეტად პრინციპული საკითხი. დღეს საწარმოს ბევრი განმკარგულებელი, მომხმარე, გეგმავი ხელისშემშლელი ჰყავს. მის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურა — ტერიტორიული მართვის რაიონული რესპუბლიკური რგოლები, ბანკი, საფინანსო ორგანოები, ტრანსპორტი და სხვა თვითონ მოითხოვენ მომსახურებას, რაშიც საწარმოს ხელმძღვანელები აუარებელ დროს და ენერგია ეხარჯებათ. ეს ყველაფერი კი პირიქით უნდა ხდებოდეს, საწარმოს უნდა მიეცეს სრული, რეალური დამოუკიდებლობა სამეურნეო საქმიანობაში. ძირითადად ამ პრინციპით უნდა დაიტვირთოს ფუნქციებით მართვის რაიონული და რესპუბლიკური ორგანოები.

ესაუბრა **ოთარ ხუციშვილი.**

> ⊙ საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, პირველი სამრეწველო პლანტაციები კი 90-იან წლებში გაშენდა.
>
> ⊙ დღეს საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითად ჩაის მწარმოებელ ქვეყნად ითვლება. რესპუბლიკაში 150-მდე ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმო და 22 დამფასოებელი ფაბრიკა მუშაობს.

> ⊙ არის რეალური პირობები იმისა, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად 100 ათასი ტონა ჩაის პროდუქცია დამზადდეს (ჩვენ მის მხოლოდ 2 პროცენტს მოვიხმართ), ეს დღევანდელი ფასებით 110-120 მილიონ ამერიკულ დოლარს უტოლდება.
>
> ⊙ ქალაქ ოზურგეთში ჩაის აუქციონი, რომელმაც ორი ვაჭრობა უკვე მოაწყო. ამ დღეებში ამოქმედდება თბილისის ჩაისა და ღვინის ბირჟაც, შეიქმნება შესაძლებლობა ჩაიც ფასები მიკარნახოთ საბაზრო ზონის ქვეყნებს.

სხვა გაზეთებიდან

## თურქეთელი მოხალისეები აფხაზთა მხარეზე ომობენ

უკვე რამდენიმე თვეა, ჯგუფი, რომელიც 70 თურქეთის მოქალაქისაგან შედგება, აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების მხარეზე იბრძვის.

როგორც სტამბოლის გაზეთი „ზამანი“ წერს, ჯგუფი, რომელიც [illegible] მოხალისეებისგან შედგება, [illegible] უმეტესი მოხალისე თურქეთელი აფხაზია, რომელთა წინაპრები გასულ და ამჟამინდელ საუკუნეების მიჯნაზე თურქეთში გადასახლდნენ.

ამ ჯგუფიდან პირველი ემიგრანტი ომს 22 წლის ასაკში შეეწირა. იგი ქალაქ გაგრის მიდამოებში დაიღუპა.

თურქეთის ოფიციალური წრეები ამ ცნობას შემდეგ განმარტავენ: „თურქეთის მოქალაქეთა მონაწილეობა ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მხოლოდ და მხოლოდ მათი პირადი ინიციატივაა“.

უფრო მკაცრ პოზიციას ადგას სტამბოლის ჩრდილო კავკასიელ ხალხთა საზოგადოება „აფხაზეთი“. „ჩვენ არ გაგვიგზავნია ეს ხალხი საქართველოში, — მიმართეს საზოგადოებაში. — უფრო მეტიც, ჩვენი პოზიცია გაცხადებულია: [illegible]“.

ვლადიმერ ხოვრატოვიჩი.
სტამბოლი.

(„იზვესტია“).

ჯანსუღ ჩარკვიანი

# „ერთგულების ორდენი“

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა, მაგრამ გარეთ ვინ დავადანაშაულოთ, როცა შიგნით, შენივე კოლეგა — პარლამენტის წევრი, სიტყვას შეგიბრუნებს და ისედაც არეულ ქვეყანას, კიდევ უფრო არევს და აგიმხედრებს?

მაინც რა ვთქვი პარლამენტის სხდომაზე? მე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ჩვენი მომრევი არც ჩეჩენი არაა და არც რუსი, არც აფხაზი და არც ადიღე, ჩვენი მომრევი ისევ ქართველია.

თუ რუსეთთან გამოუცხადებელი ომი გვაქვს (და ეს ითქვა სხდომაზე), გამოცხადებული ომი გვაქვს ქართველებთან.

ისიც ვთქვი, სანამ დასავლეთის რეგიონში დაძაბულობა არ შეწყდება, სანამ ჭკუის საკითხავად გროზნოში გამსახურდიასთან ივლიან, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება. ისიც დავსძინე, სანამ საკუთარ თავს არ გამოვუტყდებოდით ყველა ჩვენს უბედურებაში, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება-მეთქი. იქნებ დუტუ მეგრელის ლექსით არ დავამთავრე ჩემი გამოსვლა?! მაშ სადაა აქ ნათქვამი, რომ „დასავლეთ საქართველო ებრძვის აღმოსავლეთ საქართველოს?“ მე მინდა მჯეროდეს, რომ ჩემმა კოლეგამ — პარლამენტის წევრმა, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო და ამას მოჰყვა ზოგიერთი კაცის განაწყენება.

15 ნოემბერს, ტელევიზიით ლოთი ქობალია გამოვიდა და თქვა, სამეგრელოს რეგიონი ქართველებისა და აფხაზების ომში (პროვოკაციულ ომში) არ ჩაერევა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მთელი სამეგრელო ქობალიასნაირად აზროვნებდეს, ღმერთმა ნუ ქნას, სამეგრელომ არ იცოდეს ფასი თავისი კუთხისა და მთელი საქართველოსი. მაშ ვინ არის დაინტერესებული წყლის ამღვრევით? იქნებ, მეტად გვმართებს ურთიერთგაგება და პატივისცემა?

მჯერა, რომ გაივლის ეს დაძაბულობა, გონს მოეგებიან, აღარც გროზნოელთა ჭკუით ივლიან ალბათ... ყველაფერს ალბათ, მოევლება, გადაბრუნებულ სიტყვასაც გადმოაბრუნებენ და წაღმა გაიგებენ, მაგრამ მე სხვა მადარდებს, უფრო მთავარი...

ყველაფერი შეიძლება დამაბრალო, მაგრამ კუთხურობა? ვინც მიცნობს, სასაცილოდ მოეჩვენება ყოველივე, ხოლო ვინც არ მიცნობს, რა გაეწყობა, რაღა დროის 60 წლის კაცის გაცნობაა?

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მთლიან საქართველოს ვეტრფი, დედამოკადან — ალავერდამდე, კოლხეთიდან — ალაზნის ველებამდე. ნურც იმას მიწყენენ, თუ თავი არავიზე ნაკლებ მეგრელად არ მიმაჩნია, არც ჩემზე მაგარი კახელი მგონია ვინმე, არც ჩემზე მაგარი სვანი, ან რად უნდა მეგონოს? ჩვენ ყველანი ხომ ქართველები ვართ?

იქნებ, ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ისაა, რომ ამ გაგანია ომში, როცა საქართველოს ყოველი კუთხის შვილთა სისხლი ილვრება, ჩვენ იმის გარჩევაში ვართ, ვინაა ქიზიყელი, ვინ ლეჩხუმელი და ვინ მეგრელი. ვინ ვიზე რა თქვა და ვის გავუსწოროთ ანგარიში...

ამ თორმეტი წლის წინათ, ერთი ლექსი დავბეჭდე, რომელიც სამეგრელოს გულს, ოდიშს მივუძღვენი.

„ჩემი სულის სიყმაწვილევ,
ჩემი სისხლის აპრილო,
სამარემდე მიმაცილე, —
არც იქ გამინაპირო,

### კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა

ვერ ვთმობ მე შენს
თუთარჩელას,
შენს კურთხეულ დაფიონს,
შემრთე (ლექსი თუ დამრჩება)
შენი ზეცის საფირონს.

ნება მომეც ჯოჯოხეთით,
სული შენკენ ვაფრინო,
დაასვენე შენთან ფერხთით,
სკანი გოლუაფირო.

ვითომ მოძულე კაცის დაწერილს ჰგავს? არა მგონია.

კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვიტყვი, ქვეყნის გასაგონად, სიტყვის გადაუბრუნებლად, ნუ ვერჩით ერთმანეთს, ახლა ერთმანეთის კვლის დრო არ არის, ახლა იქ, სოხუმთან და გაგრასთან ყოფნის დროა, ახლა ერთად ყოფნის დროა, რათა მტერი გამოვასალმოთ სიცოცხლეს და არა ერთმანეთი.

ამას წინათ გალიდან რამდენიმე პატრიოტი მოვიდა ჩემთან, მე ისინი ბატონ ედუარდს შევახვედრე, ეს შეხვედრა ორი დღით ადრე მოხდა, ვიდრე გალში მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ვაჟკაცთა ლაშქარი ჩამოყალიბდებოდა, დღეს მათ იარაღიც აქვთ და მხარდაჭერაც. ასე ექნება ყველას, ვინც სამშობლოს სადარაჯოზე დადგება და საქართველოს მიწის გოჯსაც არავის დაუთმობს. გვახსოვდეს, საქართველო ყველას ერთნაირად უნდა უყვარდეს, საქართველო ერთია ქვეყანაზე, ღმერთივით ერთია. ჩვენ ერთმანეთში ვეძებთ მტერს. ჩვენ მტერს მოყვარეში ვეძებთ და ამაზე მტკივა გული. სანამ ჩვენ არ გავერთიანდებით, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება.

როცა ტელევიზიასთან ვიდექით და დიქტატურას ვებრძოდით, ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით, მეგრელებიც, კახელებიც, სვანებიც, იმერლებიც, გურულებიც და ქართლელებიც, ხევსურებიც და მესხებიც, ყველანი, ყველანი, იმიტომაც გავიმარჯვეთ. სამეგრელოს რომ თავისი გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვა, იქნებ ეს არჩევნები არც ჩატარებულიყო...

ასეა ბატონო, მე ამ აზრისა ვარ, ხოლო ვისაც სხვა აზრი აქვს, მე იმასთან არაფერი კავშირი არა მაქვს, იმ გზით მე არ მივლია, ერთობის გზას კი სხვაზე არანაკლებ ვიცავ და ვდარაჯობ, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს.

სწორედ ტელევიზიასთან იყო, რომ გამსახურდიამ მკვლელი გამომიგზავნა, ჩემს გვერდით მყოფმა მეგობრებმა ჰაერში მაჯა გაუშეშეს მკვლელს, საუბედუროდ, გადავრჩი, დიახ, საუბედუროდ, თორემ ბედნიერიც კი ვიქნებოდი, რომ ძმათა მკვლელობას არ შევსწრებოდი, ამ ცხოვრებაზე ზოგიერთივით თვალი არ მრჩება, არც მშიშარა ვყოფილვარ ოდესმე, მზადა ვარ, ყველა სიტყვაზე ვაგო პასუხი!

კულტურის გადარჩენის გამო, ინტელიგენციის შეკრებაზე წინადადება შევიტანე, რომ დაარსდეს ჩვენი რაინდი ბიჭების გმირობის აღმნიშვნელი ორდენი! დიახ, წინადადება მაქვს დაარსდეს „ერთგულების“ ორდენი, ცოტნეს ორდენი.

სანამ ანგარიშს გამისწორებდნენ, მინდა ხმამაღლა ვთქვა, რომ ცოტნეს ერთგულებით ვემსახუროთ საქართველოს! აი, მეგრელზე რომ აუგს იტყვის ვინმე და კახელი გაბრაზდება, კახელზე რომ ვინმე არსათქმელს იტყვის და იმერელი განაწყენდება, მაშინ გვეშველება, მაშინ გაიმარჯვებს საქართველო...

ისევ და ისევ, მოვუწოდებ ქართველ ხალხს, ცოტნეს ერთგულებით ვემსახუროთ საქართველოს, ვიყოთ ერთგულნი „ერთგულების ორდენისა“,

კაცის მოკვლას რა უნდა? (მით უმეტეს, თუ სროლა იცი.).

ქართველ კაცს რა უნდა ტყეში?

ეჰ, მაინც არ არის ჩვენი საშველი!

1992 წლის 15 ნოემბერი.

## ცინცხალი ამბები

⊙ აფხაზეთში განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან ბატონმა სოსო მარგიშვილმა საინფორმაციო სააგენტო „კონტაქტს“ აცნობა, რომ 16 ნოემბერს, დაახლოებით 19 საათზე, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა განახორციელა საბრძოლო გაფრენა ქალაქ სოხუმის მიმართულებით და რამდენიმე რაკეტა ისროლა. საქართველოს შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვის საშუალებებმა თვითმფრინავს ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ მან დაბომბვა შეწყვიტა და გუდაუთის მიმართულებით მიიმალა.

⊙ იგივე პრესცენტრი იტყობინება, რომ ამ დღეების ოპერატიული მონაცემებით შეიმჩნევა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გადაჯგუფება-კონცენტრაცია შრომა-ახალშენკამანის მონაკვეთზე. უახლოეს დღეებში შესაძლებელია მოწინააღმდეგის გააქტიურება ზღვაზე და ქალაქ სოხუმში დივერსიული ჯგუფების შემოგზავნა. ამასთან დაკავშირებით ქართული შეიარაღებული ძალების სარდლობა ახორციელებს სათანადო საპასუხო ღონისძიებებს.

⊙ სოხუმის კომენდანტის ცნობით ძირითადად მოგვარდა მოსახლეობის პურით მომარაგების საკითხი, აგრეთვე წყლის მიწოდების პრობლემა. სოხუმში ჩატანილია დიზელ-გენერატორები, რომლებიც ელექტროენერგიით ამარაგებენ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს.

⊙ საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს მონაცემებით ამჟამად ფოთის ნავსადგურში შემოსულია გემი „კინგი“ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომელმაც საქართველოში ჩამოიტანა 30 ათას 500 ტონა ხორბალი.

იტალიური გემით „რეიტგუდი“ შემოტანილია 5 ათას 800 ტონა ფქვილი. მეორე იტალიური გემით „გეორგიენ“ 6 ათას 200 ტონა ფქვილი. ფოთის ნავსადგურში მიმდინარეობს ამ ტვირთების დამუშავება და დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

ბათუმის ნავსადგურში იცლება გემი „ელიზაბეტლაიკი“. ამ გემით საქართველოში ჩამოიტანეს 9 ათას 600 ტონა ფქვილი.

ამჟამად ბათუმში რეიდზე დგანან და გადმოტვირთვას ელოდებიან იტალიური გემი „სორმონსკი“. რომელმაც ჩამოიტანა 2 ათას 652 ტონა ფქვილი. ეგვიპტური გემი „კუტი“, 2500 ტონა შაქარია მის საცავებში, ჩინური გემი „კინგ-ჯანი“ 8 ათას 585 ტონა შაქრით. ნოვოროსიისკიდან ბათუმში შემოვიდა რუსეთის ერთ-ერთი გემი, რომელმაც უცხოეთიდან ჩამოიტანა 2000 ტონა შაქარი.

ნავსადგურებში ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებანი სასურსათო ტვირთების მიღებისა და დროულად დაცლისათვის. ფოთისა და ბათუმის ნავსადგურის მუშაკები ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად ყველა ღონეს ხმარობენ დავალებათა დროულად შესრულებისათვის.

**საინფორმაციო-სააგენტო „კონტაქტი“.**

# 2. შეტორტმანებული ატლანტები

## გაგრამდე და გაგრაში

მოულოდნელ (მოჭცევასავით: ტყუილ-მართლის ტალღა ალოკავს ცნობისწადილის ნაპირს, წამით დაფარავს და მეხსიერების ქვიშაში ჩაიწურება — ჩჩუო! — ვითომც არ ყოფილა.

ინფორმაციის (სულ ერთია, როგორის) ფლობის უპირატესობა — „მე ვიცის“ აღზევება წუთით, რომელიც წელიწადზე მეტია. და მით უფრო განიფანტება სივრცეში, რაც უფრო მოკლე ფეხები აქვს; უცებ ახკინკილდება პრეტენზიულობის კიბეზე... და დარჩება კვარცხლბეკზე.

თბილისის აღმართ-დაღმართები „სასტარტო მოედანია“ საამისოდ.

განსაკუთრებით დღეს — კონვერტირებადი ჭორის აღზევების ხანაში.

ახლა ხშირად წერენ იმაზე, რომ აფხაზეთში არ იყო ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა, რომ გავლენის სფეროებად ფრონტის სეგმენტაცია დეზორგანიზაციას იწვევდა. მხოლოდ, აგვისტო-სექტემბერში სოხუმში ოთხი შტაბი იყო, ოთხივე — ხელმძღვანელობის თავისი უფლებით.

— რა გამოდიოდა ამ „კოლექტიური ხელმძღვანელობიდან“, — განაგრძობს ჩემი თანამოსაუბრე, ოფიცერი ლევან ჯობაძე (ამასობაში ექთანმა ჭრილობების გადახვევის საკმაოდ მტკივნეული პროცედურა ჩაუტარა), — ყველაზე უკეთ, და საკუთარ თავზე წინა ხაზზე ვგრძნობდით.

მეთაურები ცდილობდნენ ეუფროსათ — თავიანთ ხალხზეც და სხვებზეც; რაც უფრო ქვევით — უფრო მეტად. ეს იწვევდა ჯარისკაცების ადეკვატურ უკურეაქციას: ხალხი ისე მიმოდიოდა, ნაწილიდან ნაწილში, გადადიოდ-გადმოდიოდა, ისე „აწყობდა საქმეს“, როგორც გაეხარდებოდა.

ასეთი „ლიბერალიზაციის“ კომპენსაციას მეთაურები სხვა მხრივ ცდილობდნენ. მაგალითად, ყველა ბატალიონის უფროსი თავს უფლებამოსილად თვლიდა შეემოწმებინა ნებისმიერი პიკეტი, თუმცა სამხედრო წესდებით ამის უფლება მხოლოდ ყარაულის უფროსსა და ნაწილის მეთაურსა აქვთ. შემედავებიან, რომ ამის განმსაზღვრელი წესდება ჯერ არა გვაქვს. კი, ბატონო, მაგრამ სანამ გვექნება, იქნებ საერთოდ მიღებული წესებით ვიხელმძღვანელოთ, თორემ გამორიცხული არ არის ისეთი ფაქტებიც, მე რომ შემემთხვა.

ვდგავართ პიკეტში.

კომენდანტის საათია. ნაშუაღამევი.

ამ დროს გზაზე გამოჩნდება დიდი სისწრაფით ჩვენსკენ მომავალი ავტომანქანა ანთებული „ფარებით“. გადავუდექით, გავაჩერეთ. საბუთი მოვთხოვე.

— არ მაქვს.

— გადმობრძანდით! — ვეუბნები.

— ვის ეუბნები, გადმოდიო! — აენთო მგზავრთაგან ერთ-ერთი.

— ვის და თქვენ!

რაღა გავაგრძელო, დიდი ჩხუბით და მუქარით გადმოვიდა.

— ბატალიონის (არ დავასახელებ) მეთაური ვარ, პოლკოვნიკი და შენც შესამოწმებლად მოვედიო.

— ვინ მოგცათ-მეთქი ამის უფლება?

— მე შენ გიჩვენებ, ვინც მომცა, როდესაც იარაღს აგყრი და დაგაპატიმრებ!

ისე მოხდა, რომ იძულებული გავხდა ავტომატები ჩამოგვეღო მხრებიდან: სხვა გზა არ გვქონდა — სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უცხო პირი, უსაშველოდ, ფაქტობრივად ხელს უშლის პიკეტს სამხედრო დავალების შესრულებაში. ამას რომ უფროსი ოფიცერი იკადრებს, ჯარისკაცზე რაღა მეთქმის, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას ნიშნავს სიტყვა „პაროლი“.

მარტო ეს რომ ყოფილიყო!...

ჩვენი ნაწილის დაკომპლექტების სტადიაშივე გადავეყარეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მოსამზადებლად თბილისიდან შაუმიანში ჩაგვიყვანეს. აქ უნდა გაგვევლო წვრთნა და გვევარჯიშა სროლაში... მაგრამ იმ დღეების მანძილზე იარაღი თვალითაც არ გვინახავს. სამაგიეროდ შესანიშნავად გავიცანით ერთმანეთი. ყველას წამოღებული ჰქონდა ცოტა სასმელი, და ამ დროს, იცით, გაუცხოება ისპობა. ერთმანეთის ძმობა, მაშინ რომ ვთქვით, მერე ბრძოლებში არასოდეს დაგვირღვევია.

ჩემთვის, დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობრებისთვისაც, სწორედ ეს ძმობის ფიცი იყო მთავარი, თორემ, ალბათ, ვერ გავუძლებდი იმ უთაურობას, აფხაზეთში რომ ვნახე, და წამოვიდოდი.

გაგრაში ჩამოდის, მაგალითად, სპეციალური დანიშნულების ნაწილი („სპეცნაზი“), რომელიც, როგორც ამბობდნენ, ლამის ამერიკის არმიის დონეზე გადიოდა სამხედრო მომზადებას. ჩამოდის და... იწყებს ადგილობრივი ბაზრის პატრულირებას.

გავოცდით. ვეკითხებით — რა ხდება? გვიპასუხებენ — თქვენს საქმეს მიხედეთ, ამათ თავიანთი დავალება აქვთო...

მართლაც ვინ გვეკითხებოდა? მდგომარეობა გვაიძულებდა. პირველ დღესვე ორი გორელი ბიჭი მოგვიკლეს გაგრაში — ვიტალი და ჯონი (ნათელში ამყოფოს!), ყოველ ღამე ისეთი ბრძოლაა, რომ შეიძლება მთლიანად გავწყდეთ. ხალხი გვაკლდება. რამდენიმე ავადმყოფი სახლებში გავუშვით, ავადმყოფები, დაჭრილები კი არა, — ერთს გულის მანკი ჰქონდა, მეორეს ფილტვების ანთება. ასეთებიც იბრძოდნენ, წარმოიდგინეთ, და არავიზე ნაკლებად (ეს დაბრუნებულები მერე, დაჭრილს რომ მნახავენ თბილისში, ყველაფრის მიუხედავად, ისევ აფხაზეთს დაბრუნდებიან: მეომრები იყვნენ და იმიტომ!).

აი, ამ დროს, ასეთ ვითარებაში გაწვრთნილ და ჯან-ღონით სავსე სამხედროებს მეორეხარისხოვანი საქმით მოცდენილებს რომ გადაეყრები, გულგრილი ვერ დარჩები. (ალბათ თვითონაც განიცდიდნენ ამას).

არაპროფესიული ხელმძღვანელობა პოზიციაზე გასვლაშივე გამოჩნდება ხოლმე.

ერთი კვირაა, წინა ხაზზე ვართ. ორი დღის წინ ერთ პოზიციაზე შინაგანი ჯარის ქვედანაყოფი მოიყვანეს. გვიბრძანეს — უნდა შეცვალოთო ეს ქვედანაყოფი. ბრძანება ბრძანებაა!

— სად უნდა წავიდეთ? — ვეკითხებით და ვთხოვთ ჩვენი ახალი დისლოკაციის ადგილის დაზუსტებას. გვიპასუხებენ დაახლოებით ისე, თბილისში სოფლიდან ჩამოსულს რომ მიასწავლიან თავისუფლების მოედანს — ამ გზას წაყევითო, მერე მარცხნივ გაუხვევთო.

დავადექით ამ გზას. რასაკვირველია, ღამეა (უკვე გითხარით, რომ რაღაც გაუმჩნეველი ტაქტიკური მოსაზრებით პოზიციაზე ყოველთვის ღამე გვაყავდით). ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ, გავუხვიეთ მარცხნივ (როგორც აგვიხსნეს) და მივადექით რომელიღაც ნაწილს. პაროლად გვქონდა სიტყვა „გამარჯვება“.

ჰო, გზაში, ხიდზე რომ გადავდიოდით, ჩვენებმა გვესროლეს, მტრები ვეგონეთ. გადავრჩით.

მივუახლოვდით და შორიდანვე ვიყვირეთ — „გამარჯობა!“

— გაგიმარჯოთ, — ჩვეულებრივ გვიპასუხეს მისალმებაზე(?!).

ისღა დაგვრჩენოდა, მოგვეკითხა ერთმანეთი და გვეთქვა — თქვენს შესაცვლელად მოვედითო. ცოტა გაიკვირვეს, მხოლოდ გუშინ ჩაგვაყენესო, კი გვითხრეს მალე შეგცვლითო, მაგრამ ასე სწრაფად თუ მოხდებოდა, არ გვეგონაო.

დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

თქვენ უკვე მიხვდით, რომ სხვები შევცვალეთ თურმე, მაგრამ გაუგებრობა ამით არ დამთავრებულა. ისინი, ვინც გველოდა, ამაოდ დაშვრნენ ლოდინით და რომ არ გამოვჩნდით, თვითნებურად წამოვიდნენ წინა ხაზიდან.

იმათი თავდაცვის ზოლიც ჩვენი დასაცავი გახდა მერე.

• • •

„**თვალი** ჭამს და თვალი სვამსო“. გარეგნული იერით იწყება არმია, თუნდაც სამხედრო ფორმით. მე კი, ქართული ჯარის ოფიცერი საკუთარი ჯინსის შარვალში და მოკლემკლავებიან „ტელნიაშკაში“ გამოწყობილი ვიბრძოდი. ოფიცრის ფორმები თბილისის საწყობში ელაგა და ვილაც პოლკოვნიკი შავი სათვალეებით, მოკლე ავტომატით, „მაკაროვით“ და „კამუფლიაჟის“ ფორმით ისე, თითქოს სულელი ვიყავი, მიმტკიცებდა, რომ ოფიცრის ტანსაცმლის გაცემა აკრძალა სარდლობამ, რადგან თბილისში მორიგი პიკეტების გამოწყობისთვის ჭირდებათ, რომ ასეთი ფორმა ბაზარზე 3 ათასი მანეთი ღირს და, საერთოდ, შენ რომ რამე დაგემართოს, ვინ აანაზღაურებს ზარალსო?

— მე რომ რამე დამემართოს, ჩემს მშობლებს ვინ აუნაზღაურებს? — ვეკითხები.

— ეგ არ მინდოდა მეთქვაო.

იცით, რა? თითქოს არაფერს ნიშნავს, მაგრამ კარგად გამიგეთ: ქართველი ოფიცერი ქართულ ჯარში ლამაზადაც უნდა გამოიყურებოდეს. მეც მინდოდა ლამაზად ვყოფილიყავი. და, წარმოიდგინეთ, ლამაზადაც მოვმკვდარიყავი...

მაგრამ სწორედ ეს არ უნდოდა შავსათვალეებიან პოლკოვნიკს. ის კი არა, რომ არ დავღუპულიყავი, ფორმის მოცემა არ უნდოდა. არც მოუცია.

ჩემი, პირადი გამოცდილება მათქმევინებს, რომ შაუმიანიდან მოყოლებული გაგრამდე, თითქოს განგებ, რაღაც წინააღმდეგობანი გვხვდებოდა.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ მაგალითად, სოხუმის აეროპორტში ჩასვლისთანავე იქაური ოფიცრები გინებით და მუქარით დაგვხვდნენ — მაროდიორებს ადგილზევე დავხვრეტავთო! დაზვერიტონ, ვინ უშლით...

ჩვენ სავსე ვართ ამაღლებული განწყობილებით, სამშობლოს დასაცავად ჩავედით და გვხვდებიან როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

სამწუხაროდ, ასეთი დამთრგუნავი მომენტი საკმაოდ ხშირად იყო და თითოეული ისეთი ხარისხისა, რომ შეიძლება ყველაფერზე ხელი ჩაგექნია.

**ავტორის რემარკა:**

**ასეთია ომის რეალობა: პატრიოტული აღტკინება და რომანტიკა ფრონტის მკაცრ სინამდვილეს რომ შეეჯახება, სავსებით შესაძლებელია, რწმენის მსხვრევის მიზეზი გახდეს, არცთუ იშვიათად — პიროვნების გატეხვის მიზეზიც, მეთაურთა (რომლებიც იქ ახალგაზრდა მეომრების ერთადერთი პატრონები არიან) მოვალეობა ისიც არის, რომ მაქსიმალურად შეანელონ ამ შეჯახების მტკივნეული ეფექტი. სამწუხაროდ, ყველას არ ჰქონდა ამის გამოცდილება; ზოგს — არც სურვილი, ზოგს — არც შეეძლო. ნუ გამოვრიცხავთ ამას, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, დროშად რომ აფრიალებენ ბიჭები თავიანთი სათაყვანებელი სარდლების სახელებს.**

**მეთაურის უფლება, — არსებობდა და არსებობს ასეთი პრინციპი, ეგებ მთავარია ჯარში. მაგრამ არა მინიჭებული წოდების გამო, უმეტესად — ავტორიტეტისთვის, რომელიც ომში მოიპოვება. უზენაესია ასეთი ავტორიტეტი მებრძოლისთვის.**

**თავად ვარ მოწმე, თუ როგორ შფოთავდა და წუხდა ჩემი თანამოსაუბრე საავადმყოფოში არა თავის ჭრილობებზე, არამედ ბატალიონის შტაბის უფროსზე, კაპიტან ვადიმ ანანიევზე, რომელსაც გაურთულდა ჭრილობა და მარჯვენა ხელის ამპუტაციის საშიშროება შექმნა. როგორ შფოთავდნენ მისი თანამებრძოლებიც, რა აღმატებულ ხარისხში იხსენებდნენ მის კაცურ თვისებებსა და სამხედრო პროფესიონალიზმს.**

— **შეგიძლიათ** წარმოიდგინოთ, რომ საომარ მოქმედებათა რაიონში ჩადის სამხედრო ნაწილი უიარაღოდ?

ჩვენ ასე ჩავედით. იარაღი ჩამოიტანეს, როგორც ბარგი.

არ გვენდობოდნენ, ეშინოდათ, რომ იარაღის ხმარება არ ვიცოდით? — მაშინ ასეთი მოუმზადებელი მეომრების გაგზავნა წინა ხაზზე უაზრობაა.

ხომ შეიძლებოდა სოხუმში, იგივე აეროპორტში, რომელიც ფაქტობრივად დაუცველი იყო, თავს დაგვსხმოდნენ, ან ალებული დაგვხვედროდა? მაშინ ან უნდა დავხოცილიყავით, ან ხელებაწეულები დავნებებულიყავით... სამასზე მეტი ტყვე და სამაზე მეტი ხელუხლებელი ავტომატი საჩუქრად უნდა მიგვერთვა.

ჩავფრინდით ღამე. გვეუბნებიან — აქ დაისვენეთო, და გვიხსნიან: იმ მხარეს დანაღმულია, რადგან იქიდან შესაძლებელია შემოგვიტიონო; აქეთ სნაიპერი ზის და ა. შ. ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან რაღაც საშიშროება გველოდება.

იარაღი ვითხოვეთ. დილამდე მოიცადეთო.

კაცო, დილამდე თუ დავიხოცეთ?! რამდენიმე საათის მერე გვითხრეს — ნავსადგურში გადავდივართო.

ჩავეტენეთ „იკარუსში“, „პაზიკში“ და ორ „ვოლგაში“. ამსიგრძე გზა ისევ უიარაღოებმა გავიარეთ. პატიმრებივით ორ-ორი ავტომატიანი დამბადური ჯარისკაცი გვაცილებს. ტრაბახობენ, მაგრამ რას ტრაბახობენ: როგორ ჩაუგდო მტერმა „ლიმონკა“, როგორ ამოაგდო ერთმა, მეორემ 12 ჩეჩენი როგორ დახოცა... ომია, რას ერჩი!

ჩავედით. ყველანი იქა ვართ ბატალიონის მეთაურის ხელმძღვანელობით და ჩვენი იარაღი კი აეროპორტშია სამად-სამი გუშაგის ანაბარა. ხმა დაირხა, ჩვენი ახალი ავტომატები იმიტომ დატოვეს იქ, რომ შეგვიცვალონ და ძველი შემოგვაჩეჩონო. ახლა ძნელია მტკიცება; მართლა ასე მოხდებოდა თუ არა, მაშინ კი გადავირიეთ.

მეორე დღეს, მღელვარებამ მწვერვალს რომ მიაღწია (რაზეა ლაპარაკი: იარაღს ითხოვს საბრძოლველად ჩამოსული კაცი), ნება დაგვრთეს წამოგვეღო. მანქანების შოვნა არ გინდა? როგორც იქნა, ორი „კამაზი“ აღმოაჩინეს სადღაც. დაწყვეს იარაღი, გაფუჭდა „კამაზები“.

ტურბაზაში წაგვიყვანეს — აქ განლაგდებითო. სხვისი აღმოჩნდა. სადაც თავისუფალ ადგილს ნახავთ, იქ მოეწყვეთო.

არ არის ეს უხეში შეცდომების წყება? მთელი 102-ე ბატალიონი, როგორც სამხედრო ძალა ორი დღე-ღამის მანძილზე პარალიზებული იყო.

**ავტომატს** ეჩვევა მებრძოლი, თავის იარაღს, ზუსტად იცის, როგორ მიაქვს ტყვია, როგორ დაუმიზნოს. ბრძოლის დროს ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. არა მგონია, რამე გამართლება ჰქონოდა ჩვენთვის იარაღის შეცვლას. არა და, ასე გაგვიკეთეს ბრძოლიდან შესვენებისთვის გამოსულებს.

ვინც ჭკვიანი იყო, ბრძანება იარაღის ჩაბარებაზე არ შეასრულა მე და ჩემს მეგობრებს კი თოხივით ავტომატებით მოგვიწია გაგრაში ბრძოლა.

• • •

**ბევრი** ეჭვი მებადება ახლა — განზრახ ხომ არ კეთდებოდა ყველაფერი ისე, რომ ჩვენ, მებრძოლები, მდგომარეობიდან გამოვეყვანეთ, გავეფუჭებინეთ?

— **ძალიან სერიოზული ბრალდება...**

— მე ჩემს ეჭვს გამოვთქვამ მხოლოდ. ტყვია-წამლით მომარაგება გაგრაში პრობლემათა პრობლემა იყო. ამიტომ ეშმაკობდნენ ჩვენი ბიჭები.

გვეკითხება მეთაური — ვისა აქვს ცარიელი „რაჟდოკი“? (ავტომატის მჭიდზეა ლაპარაკი). ჩვენ ამოვყრით ტყვიებს და ცარიელს ვაჩვენებთ.

— **ზედმეტი რაღად გინდოდათ?**

— ზედმეტი? ჯერ ერთი, ომში ზედმეტი არაფერია. მეორეც, — მწარე გამოცდილება გვაიძულებდა და სწორედ ასე გვეშოვა ტყვიები. ერთ ღამეს ისე შემოგვიტიეს, რომ ყველაფერი ჩავხარჯეთ. მტერი ისევ გვიტევდა. ვერ ვისვრით. ავტომატებს არ ვაგდებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ეგებ გამოგვადგეს როგორც კომბლები, მძიმე მანკაა. ტყვიები მარინაშვილის საწყობშია. მიდიან ჩვენი მეთაურები, ევედრებიან და მოაქვთ ერთი „ცინკი“-1.080 ტყვია. კაცზე — 45. გეკითხებით, როგორ გვებრძოლა?

**არმაზ ქალიძე.**

რევაზ ჩაგელიშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ამ წერილში** მინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვა მეტად საჭირბოროტო საკითხის გამო. საქმე ეხება მთის ტყეებს.

ჩვენს დროში უაღრესად ძლიერია გარემოზე ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების მასშტაბი, უჭირს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ლითოსფეროს, შველას ითხოვს მთა და ბარი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ტყის ეკოსისტემები. ენერგეტიკულმა კრიზისმა უკიდურესად გაამწვავა ისედაც რთული, კონფლიქტური სიტუაცია ადამიანსა და ბუნებას შორის. მოსახლეობა ტყეს შეესია საწვავ-სათბობად მისი გამოყენებისა თუ სავარგულად ახოს აღების მიზნით.

**ჩვენში** განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ეგრეთ წოდებულ საკოლმეურნეო ტყეებში, მათი საერთო ფართობი საზოგადოებრივ (ყოფილ საბჭოთა) მეურნეობებზე მიმაგრებულ ტყეებთან ერთად 601,4 ათასი ჰექტარია, რაც ქვეყნის ტყეების საერთო ფართობის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს.

ეს ტყეები კოლექტივიზაციის პირველსავე წლებიდან სატყეო საქმის არამცოდნე სოფლის მეურნეობის მუშაკთა გამგებლობაში აღმოჩნდნენ, ცხადია, ტყეებს [illegible]

[illegible]

ვითი შემოწმებით 11761 ძირი თხმელისა და აკაციის ხეების უკანონოდ მოჭრის ფაქტი გამოავლინა. ზარალმა 134762 მანეთი შეადგინა. საქმე გადაეცა პროკურატურას. მძიმე მდგომარეობაა ჭიათურა-საჩხერის რეგიონში, კერძოდ სოფელ მეჩხეთურში გამოვლენილია 91 ძირი წიფლის, წაბლის, რცხილის უკანონოდ მოჭრის ფაქტი. სოფელ ჩხირაულში გამოვლენილია 25 ძირი წაბლის, ხოლო საჩხერის რაიონის სოფელ მოხვში 46 ძირი ემერული მუხის [illegible]

## ჩვენ და გარემო

# ტყე ეროვნული სიმდიდრეა, უნდა დავიცვათ!



[illegible]

მოსახლეობას აიძულებს შეშა დაამზადოს სოფლის შემოგარენში, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება, რადგან ტყე მთიანეთში ძირითადად დაცვით ფუნქციებს ასრულებს.

ჩვენი აზრით, დღევანდელი პირობების გათვალისწინებით კარდინალურად უნდა შეიცვალოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის, მისი საქვეუწყებო სამსახურების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დამოკიდებულება საშეშე მერქნის საგეგმო დამზადებისადმი. კერძოდ, თუ მკვეთრად არ გაიზარდა ცენტრალიზებულად, სათანადო წესების დაცვით დამზადებული საშეშე მერქნის ოდენობა და მისი მიყიდვა მოსახლეობაზე, ტყის დაცვა სოფლად მოსახლეობის მასობრივი შეტევისაგან უკიდურესად გაძნელდება და შეიძლება ეს პროცესი უმართავიც გახდეს.

მთელ რიგ შემთხვევებში ტყის ფონდის მიწების უკანონო გაცემა ახოს აღების მიზნით ხორციელდება მიწების პრივატიზაციის მოტივით (ბორჯომის, ხაშურის, გორის, მცხეთის და სხვა რაიონები), რაც წმინდა წყლის უკანონობაა. კანონით სატყეო განადგურების საშიშროების წინაშე დგას და საგანგებო ღონისძიებების განხორციელების გარეშე შეუძლებელია ლანდშაფტების დეგრადაციის პროცესის შეჩერება.

როგორც უკვე ითქვა, ბოლო პერიოდში ენერგეტიკული კრიზისის გამწვავებასთან დაკავშირებით უკიდურესად გაიზარდა მოთხოვნილება რესპუბლიკაში დამზადებულ მერქანზე, რადიკალურად გაიზრდება მოთხოვნილება შეშაზეც. სწორედ ამიტომ აკრძალულია რესპუბლიკაში დამზადებული ხე-ტყის საზღვარგარეთ გატანა, ეს პროცესი კი ბოლო პერიოდში სარფის საბაჟოს გავლის გზით კრიმინალურ ხასიათს იღებს და ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს. დღეისათვის რესპუბლიკაში დამზადებული ხე-ტყის გატანა საზღვარგარეთ და, კერძოდ, თურქეთში აკრძალულია, მაგრამ არ იკრძალება იმპორტული ხე-ტყის (რუსეთის) რეექსპორტი. ამით ისარგებლა ზოგიერთმა ჩვენმა მოქალაქემ და ტრანზიტულ ხე-ტყის ჩვენიც გააყოლა.

ჩვენში დამზადებული ხე-ტყის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ [illegible]

[illegible]

...ყო მეურნეობის დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გაერთიანებულმა კოლეგიამ პრინციპული შეფასება მისცა მომხდარ ფაქტს. დამნაშავე პირები მკაცრად დაისაჯნენ. სატყეო მეურნეობის საქმიანობა კონტროლზეა აყვანილი.

ზესტაფონის გარემოს დაცვის საარაიონთაშორისო კომიტეტმა საკოლმეურნეო ტყეებში შერჩე... [illegible] ებით სიუხვის პირობებში მოთხოვნილება შეშაზე რამდენადმე შემცირებული იყო, მომავალ ზამთარს კი საშეშე მერქანზე წლიური მოთხოვნილება 3-4 მილიონ. კუბმეტრს მიაღწევს, ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ წელს აღნიშნული ოდენობით საშეშე მერქანი საქართველოში რეალურად დამზადდება.

საწვავის უქმარისობა მთის ... ვერ ახორციელებს აუცილებელ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვას, მორწყვის და სხვა სამუშაოებს. თუ ასე გაგრძელდა, ტყეპარკის გადარჩენა გაძნელდება. რაც შეეხება რუსთავის ტყეპარკს, აქ საგანგაშო მდგომარეობაა.

გაძლიერებული ანთროპოგენული ზემოქმედებისა და სატყეპარკო მეურნეობის არასწორი მართვის შედეგად ტყეპარკი სრული ... ბამ სამინისტროს წინადადებით გამოსცა დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ხე-ტყის ექსპორტისა და რეექსპორტის დროებითი შეჩერების შესახებ.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ქვეყნის თავდაცვის ფონდში.

# მეღლის მეორე მხარე

## ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის ირგვლივ

[illegible]

ახსოვთ, იმ ხანებში ცხინვალიდან და ახლომახლო სოფლებიდან როგორ აიყარა ათობით ოსური ოჯახი და ჩრდილოეთ კავკასიაში გადაბარგდა, თან გაიძახოდნენ, ორჯონიკიძეში მუქთა სახლებს გვირიგებენო. ეტყობა, ინგუშების უპატრონოდ დარჩენილ სახლებს გულისხმობდნენ.

50-იანი წლების შუახანებში ხვეგამწარებული ინგუშები უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერც სახლები დაიბრუნეს, ვერც მიწები. იქ უკვე ოსები სახლობდნენ.

და დაიწყეს ინგუშებმა ბრძოლა საკუთარი სახლისა და საკუთარი მიწის დასაბრუნებლად. ფარულ თუ აშკარა უკმაყოფილებაში, წყენაში, ხვეწნა-მუდარაში, მუქარასა თუ ლოდინში ათწლეულები გავიდა.

ბოლოს, რუსეთის პარლამენტმა, როგორც იქნა, მიიღო დადგენილება, რომ ინგუშებს დაბრუნებოდათ თავიანთი ტერიტორია, მაგრამ ეს დადგენილება დღემდე არ სრულდება — გადაფოფრილია ოსეთზე რუსეთის პარლამენტიცა და მთავრობაც.

„ნოვოსტი" ცდილობს საზოგადოებრიობას შეაცოდოს სხვის მიწაზე ჩასახლებული ოსობა — ეს საბრალო ხალხი ამ მიწებიდან ან როგორ ავყაროთ, ან სად წავიყვანოთო.

რა გამოდის აქედან?

ჯერ ერთი, ის, რომ ამ ხალხის გენეტიკურ კოდში ფრიად უცნაური თვისება „ზის": განუწყვეტლივ სხვის მიწაზე ბუდობდეს და ცხოვრებას უმწარებდეს ამ მიწის ნამდვილ პატრონს.

სხვათა შორის, ომის ბოლო წლებში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში საკმაო რაოდენობით ქართველები, თუშები, ქისტები, ხევსურებიც ჩასახლდნენ.

— მაგრამ დავბრუნდით თუ არა ჩვენს ისტორიულ სამშობლოში, —ამბობდა შარშან თბილისში ჩამოსული ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, — ქართველებმა მაშინვე შეკრეს თავიანთი ბარგი-ბარხანა, დაგვიცალეს სახლები, დაგვემშვიდობნენ და საქართველოსკენ გამოსწიეს. ისეთი კეთილშობილი ქართული ოჯახებიც მახსოვს, — განაგრძობდა სტუმარი, — რომ ჩვენ, დედიშობილა დაბრუნებულთ, ცხვართან ერთად საოჯახო ნივთებიც და ტანსაცმელიც დაგვიტოვეს, რომ რაც შეიძლება მალე წამოვწეოდით ცხოვრებას, ფეხზე დავმდგარიყავით.

კეთილშობილება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ქმნის ნიჭი, ვისაც ეს ნიჭი არ აქვს, უმადურიაო, ამბობენ.

**გურამ პავლიაშვილი.**

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

# ლიტვის გაკვეთილი

### სეიმის არჩევნებში მემარცხენეებმა გაიმარჯვეს

[illegible]

... დევ არჩევნების პირველი ტურის დროს, რომელიც სამი კვირის წინათ, 25 ოქტომბერს გაიმართა, „ყოფილმა კომუნისტებმა" ოთხმოცი მანდატიდან ნახევარზე მეტი — 44 მოიპოვეს, ხოლო მმართველმა „საიუდისის" მოძრაობამ სულ 18 მანდატი მიიღო. კვირის მეორე ტური მაინც გადამწყვეტი იყო. პირველ ტურში გამარჯვებული მემარცხენეები დაინტერესებული იყვნენ წარმატების გარანტიით და უმრავლესობის მოპოვებით. „საიუდისი" და მემარჯვენე ყაიდის პარტიები ცდილობდნენ, თუ უპირატესობას ვერ მოიპოვებდნენ, ის მაინც ექნათ, რომ მეტოქეებისათვის პარლამენტში რაც შეიძლება მეტი ადგილი მაინც წაერთვათ, და ამ მიზნის მისაღწევად არ ერიდებოდნენ ხალხის დაშინებას — „ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ლამობენ კომუნისტები და ნეოკომუნისტებიო". თუმცა, მოსახლეობის აქტიურობა მეორე ტურში დიდი არ ყოფილა, მაგრამ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა 58 პროცენტი მაინც მივიდა, სამი კვირის წინათ კი ხმა მისცა საარჩევნო უფლების მქონე მცხოვრებთა 70 პროცენტზე მეტმა.

ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვიტაუტას ლანდსბერგისმა შიში გამოთქვა ერთპარტიული მთავრობის შექმნის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ალგირდას ბრაზაუსკასმა ორშაბათს განაცხადა, რომ ადვილი არ იქნება ახალი მთავრობის შედგენა და ხელისუფლების სხვა ორგანოების ჩამოყალიბება, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღებენ არა პარტიულ კუთვნილებას, არამედ კომპეტენტურობას. მან კატეგორიულად უარყო პარლამენტის ახლანდელი მეთაურის ლანდსბერგისის მოსაზრება ლიტვის შრომის დემოკრატიული პარტიის ერთმმართველობის საფრთხის თაობაზე. ამასთანავე, დასძინა, რომ ჯერ კიდევ ადრეა კოალიციური მთავრობის შექმნაზე ლაპარაკი. მან თქვა, რომ აპირებს ლანდსბერგისთან შეხვედრას. შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია რუსეთთან ეკონომიკურ საკითხებში კომპრომისი და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის აღდგენა, რომ განზრახული აქვს დასავლეთის კაპიტალის მიზიდვა, ტექნოლოგიური და სხვა სახის დახმარების მიღება და თანამშრომლობა, საერთოდ კი, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, დაბალანსებულ პოლიტიკას დაადგებითო.

[illegible] რღვევა, ... რხანა და საწარმო, მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები, რომ ასეთივე საგალალო მდგომარეობაა ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებში.

რა გაკვეთილი მისცა ლიტვის პარლამენტის არჩევნების შედეგებმა არა მარტო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს?

საბჭოთა კავშირის მოულოდნელმა, მოუმზადებელმა დაშლამ, უფრო ზუსტად — დანგრევამ, თავისუფლების უკიდურესი ეიფორია, ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის აფეთქება გამოიწვია და იდეოლოგიური ვაკუუმი შექმნა; და რასაც ძალზე მძიმედ განიცდის ყოველი საბჭოთა რესპუბლიკა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები — დაწყდა მჭიდროდ ინტეგრირებული ეკონომიკის შემაერთებელი კვანძები და ყოფილი საბჭოთა იმპერიის ყველა შემადგენელ ნაწილს შეუქცევადი ეკონომიკური რეცესიის, ჰიპერინფლაციის უფსკრულისაკენ მიაქანებს.

აუცილებელია, თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა შორის ეკონომიკური კავშირების და თანამშრომლობის აღდგენა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეალური პირობების შექმნა.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

## პირველი პრესკონფერენცია

ამერიკის პრეზიდენტად არჩეულმა ბილ კლინტონმა ლიტლ-როკში გამართულ თავის პირველ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს შეუჩერებლად განაგრძოს რუსეთთან ერთად მუშაობა ბირთვული განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის გასანადგურებლად".

საგარეო პოლიტიკის სფეროში იგი თავის მთავარ ამოცანად თვლის „იმუშაოს მრავალწლიან პროგრამაზე ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უძლიერესი სამხედრო სახელმწიფოს სტატუსის შესანარჩუნებლად და ამასთანავე, სამხედრო ხარჯების შესამცირებლად".

## თითო აბზაცით

● **ინგლისის** პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა ევროპის გაერთიანების კომისიას მოუწოდა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ხელი მოაწეროს ამერიკის შეერთებულ შტატებთან „ყოვლისმომცველ" შეთანხმებას მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მოლაპარაკებაზე, რომელიც უკვე ექვსი წელია, მიმდინარეობს ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური საგენტოს ფარგლებში.

● **გაეროს** გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ განაცხადა, რომ მისი პირადი წარმომადგენელი მონაწილეობას მიიღებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების არაბულ-ისრაელის მოლაპარაკებაში.

● **მოელიან**, რომ ნოემბრის ბოლოს პარიზში ყოფილი საბჭოთა კავშირის კრედიტორი ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრაზე რუსეთს 10 წლით გადაუვადებენ საგარეო ვალის გადახდას.

● **იაპონიის** გაზეთი „იომიური" წერს, რომ ოთხშაბათს კორეის რესპუბლიკაში ვიზიტით რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იწყებს რუსეთის ფართომასშტაბიან აზიურ დიპლომატიას. სეულში მოგზაურობის დამთავრების შემდეგ მას განზრახული აქვს, დეკემბერში ჩინეთს ეწვიოს, ხოლო მომავალ იანვარში ინდოეთს ეწვევა.

## კარიკატურისტის კომენტარი




მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

## ცხოვრების გზაჯვარედინზე

# ...დაიძრა, საქმე დაიძრა!..

**გია ჭელიძე.**

**უ**ჩვეულო სანახავია დღეს ჩვენი თბილისი. არ დარჩა პროსპექტი თუ მოედანი, ქუჩა თუ ჩიხი, სადაც კრიალოსანივით არ იყოს ჩაწყობილი მცირე ზომის ჯიხურები. ვისაც რა მოსპარბდება, ყველაფერს ამ ჯიხურებისკენ მიაქანებს და არის ერთი ორომტრიალი, ალებ-მიცემობა, განუკითხაობა. სამწუხარო და სავალალო სწორედ ის არის, რომ ეს ჯიხურომანია მთელ საქართველოს რაიონებსა და სოფლებს სახადივით მოედო. დღეს თითქმის ვერ ნახავთ ვერც ერთ გზისპირა ეზოს, სადაც მავანს ჯიხური არ ჩაედგას და არ გაჰქონდეს.

ვაჭრობაც არის და ვაჭრობაც! იმას კი, რაც ამ ჯიხურებში ხდება, ვაჭრობა არ ეთქმის. აქ უფრო გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამოძმეების ძლეტასთან გვაქვს საქმე, ვიდრე პატიოსნურ ალებმიცემობასთან, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ახლა კი, ერთს ვიტყოდი: მძლეტაობას სწორედ მაშინ ეხსნება გზა, როცა სახელმწიფო სტრუქტურა ის, ვისაც ევალება და ეკუთვნის კიდეც რომ ივაჭროს, ხელფეხსაც და ყურებსაც ჩამოყრის და თავისი უმოქმედობითა და გულგრილობით ხელს შეუწყობს ასეთი ქაოსის დამკვიდრებას.

ასეთი მომრავლებული ჯიხურომანია ნათელი დასტურია იმისა, რომ ამ უბანზე საბაზრო ეკონომიკისათვის ესოდენ აუცილებელი პრივატიზაციის პროცესი ჩვენში ჯერაც არ დაწყებულა.

დააკვირდით, შეხედეთ თქვენს ქუჩაზე, უბანში არსებულ სახელმწიფო სავაჭრო ქსელის მაღაზიებსა და ობიექტებს გამოცარიელებული დახლებითა და ვიტრინებით, საწყობებით, ამ ობიექტებში უსაქმოდ მჯდარი მუშაკებით. უკვე ერთი წელია ასეთი სურათი, როგორც თბილისის, ისე რაიონების სავაჭრო ობიექტების უმეტესობაში, მაშინ როცა შეგვეძლო (ცხადია, თუ გული გულობდა!) ეს ობიექტები თავის დროზე გადაგვეცა კერძო საკუთრებაში.

გადაგვეცაო, — სათქმელად ადვილი, თორემ... სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტი, როგორც იცით, სახელმწიფო ქონებაა და იგი რომელიმე სახელმწიფო უწყებას ან სამინისტროს ეკუთვნის. ქონება კი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ძალაუფლების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. ახლა მიბრძანეთ, რამდენად სურთ ჩვენს სამინისტროებსა და უწყებებს ამ ქონების (და მასთან ერთად ძალაუფლების) განკარგვა, კერძო ხელში გადაცემა? რაც უნდა იყოს, უწყება იმის უწყებაა, რომ ძნელად ეგუება მის დაკარგვას. სწორედ ამიტომაც იყო ალბათ, რომ ჩვენს დედაქალაქშიც და რაიონებშიც ასე გაჭიანურდა ეს პროცესი და სხვადასხვა მიზეზითა თუ გარემოებათა მიშველიებით ფერხდებოდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებების შესრულება. მახსოვს, სამაჩაბლოში ყოფნის ჟამს რა ორომტრიალი იყო ატეხილი გორის უნივერმაღის „გორივაჭრობისაგან" გამოყოფისა და ამ სავაჭრო ობიექტის პრივატიზების თაობაზე, თუმცა ამ საკითხს პრინციპულად უჭერდა მხარს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. ასე რომ, ასეთი დაბრკოლებანი არც ისე იოლი გადასალახავი აღმოჩნდა, როგორც გვეგონა უახლოეს წარსულში. ახლა კი როცა ჩვენი ნანატრი პარლამენტიც პარლამენტობს და მთავრობაც, იმედი გვაქვს, იმთავრობებს, ვფიქრობთ, ამ პროცესს წინ ველარავინ გადაუდგება. სწორედ ამაზე მიუთითებს თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის ამასწინანდელი დადგენილება ქ. თბილისში დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტების პრივატიზების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს კერძო კაპიტალის მეშვეობით დასრულდეს და ამოქმედდეს ე. წ. უპერსპექტივო ობიექტები, რომლებზეც საბიუჯეტო სახსრების მკვეთრი დეფიციტის გამო კარგახანია შეჩერდა სამშენებლო სამუშაოები.

ასეთი 115 ობიექტია თბილისში.

... დაიძრა, საქმე დაიძრა! პირველი სიტყვა ამ საქმეში ისევ ჩვენი დედაქალაქის მერიამ უნდა თქვას და როგორც ჩანს, იტყვის კიდეც. აკი ამიტომაც შეიქმნა თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის საქალაქო სამმართველოს ბრძანებით საპრივატიზაციო კომისია. შემუშავებულია და მთავრობის მიერ დამტკიცებული ამ ობიექტების პირველი საპრივატიზაციო ნუსხა, რომელშიც ჯერჯერობით შემდეგი ობიექტებია შეტანილი:

| ობიექტების დასახელება | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ათ. მან. | ათვისებულია 1992 წ. 1.01 ათ. მან. | დარჩენილია ასათვისებლად ათ. მან. | პრივატიზების ინიციატორი |
|---|---|---|---|---|
| 1. სავაჭრო ცენტრი გლდანის ხევში | 1428 | 1136 | 287 | სახ. ქონების საქალაქო სამმართველო |
| 2. სავაჭრო ცენტრი „ლილო" | 2830 | 1683 | 1147 | „—" |
| 3. მაღ. ვარკეთილი 3, 2 მ/რ ბლოკი 5 | 506 | 116 | 390 | „—" |
| 4. მაღ. „ვარკეთილი 3" მე-26/რ მ/რ ბლოკი 6 | 488 | 118 | 370 | „—" |
| 5. მაღ. ფონიჭალის მე-3 მ/რ ბლოკი 4 | 112 | 5 | 107 | „—" |
| 6. სავაჭრო ცენტრი გლდანის 5-3 მ/რ-ს შორის | 2640 | 1036 | 1584 | „—" |
| 7. სავაჭრო ცენტრი გლდანის 0-3 მ/რ-ს შორის | 828 | 221 | 3018 | „—" |
| 8. თბილისის კაფე მუხიანის დასახლებაში, მშენებლობა დაუმთავრებელია | 410 | 210 | 200 | „—" |
| 9. კვების ბლოკი სასტუმროსათვის თემქის დასახლებაში | 2562 | 1789 | 778 | „—" |
| 10. სასტუმრო თემქის დასახლებაში | 7208 | 4840 | 2368 | „—" |
| 11. დაბა წყნეთში საბავშვო ბაღის მშენებარე ობიექტი (ამჟამად დაკონსერვებულია) | 1512 | 272 | 1240 | „—" |
| 12. მაღალი ხარისხის ნახევარფაბრიკატების ფ-კა „ვაზ"-ის ტერიტორიაზე | 3378 | 678 | 2702 | „—" |
| 13. მოსწავლეთა სახლი ნაძალადევის რაიონში | 3467 | 1570 | 1732 | „—" |
| 14. ადმინისტრაციული შენობა სამგორის რაიონში | 3209 | 127 | 3082 | „—" |

როგორც ქალაქის მერია გვაცნობებს, ამ დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტების პრივატიზება განხორციელდება ე. წ. აუქციონის ან კონკურსით გაყიდვის წესით, რის შესახებაც პრესისა თუ ტელევიზიის მეშვეობით ფართოდ იქნება ინფორმირებული ჩვენი საზოგადოებრიობა.

ახლა მიმდინარეობს წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა იმისათვის, რომ ამ ობიექტების პოტენციური მყიდველებისათვის შეიქმნას ყველა პირობა. დგინდება ცალკეული ობიექტის საწყისი ფასები, რისთვისაც მოწვეულნი არიან ექსპერტთა ჯგუფები და ცალკეული სპეციალისტები, იქმნება შესაბამისი დოკუმენტაცია, საინფორმაციო ცნობარები აუქციონის მონაწილეთათვის. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ამ ღირსსახსოვარ მოვლენას ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ.

ასე რომ, მეგობრებო, ვისაც გულიც გერჩით და ფულიც გიჩხრიალებთ, თავი ანებეთ ჯიხურებს და ნამდვილ სასარგებლო საქმეს მოჰკიდეთ ხელი.

ხომ ხედავთ, დაიძრა საქმე!

## ხიდი

# „საქართველო იპოვის პრობლემების გადაჭრის გზებს"

**ს**ამი წელია, რაც მეგობრული ურთიერთობა დამყარდა მილერსვილის (აშშ) გადაუდებელი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო საზოგადოებასა და საქართველოს ექიმთა ასოციაციას შორის.

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა საზოგადოების პრეზიდენტი ბ-ნი არნო მოსკი, რომელმაც საინტერესო ლექციები წაიკითხა სამედიცინო ინსტიტუტისა და სხვადასხვა სამედიცინო წრეებში.

მან გამოთქვა სურვილი გაუწიოს დახმარება სამედიცინო სფეროს საქართველოში, ამაზე მეტყველებს ბ-ნი არნოს მიერ გამოგზავნილი წერილი, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**დღეს** საქართველო კვლავ არის მსოფლიო ყურადღების ცენტრში იმ სამწუხარო მოვლენების გამო, რომელთაც ჩვენ აღვიქვამთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლის შემადგენელ მოვლენებად. თავისთავად ეს ალბათ გარდაუვალიც იყო.

საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში მიმდინარე ძვრები აღრმავებს ძველ კონფლიქტებს და იწვევს მათი ახალი ძალით აფეთქებას დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად.

რა მიზეზებიც უნდა ჰქონდეთ ამ კონფლიქტებს, ამერიკელ ექიმებს სწამთ, რომ მათი ქართველი კოლეგები დგანან იმ პოზიციაზე, რომელზეც დგანან მთელი მსოფლიოს ექიმები, როდესაც ხალხი ერთმანეთს ებრძვის, კლავს და ასახიჩრებს. სწორედ ჩვენა ვართ ვალდებულნი დავეხმაროთ მათ. როდესაც ზიანდებიან სამოქალაქო პირები, ბავშვები და მოხუცები და მატულობს ავადობა სოციალური კატაკლიზმების გამო, ჩვენი ვალია ვეცადოთ, დახმარება გავუწიოთ მათ იმ არასრული საშუალებებითაც კი, რომლებიც არის ჩვენს ხელში.

ჩვენ ვიცით, ყველა ექიმს უნდა სძულდეს ომი და ილტვოდეს მშვიდობისათვის. ჩვენ გვინდა და გვჭირდება სიმშვიდე საზოგადოებაში, რათა ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც გვასწავლეს.

როგორც ერთ-ერთ იმათგანს, ვინც სტუმრად ყოფილა საქართველოში, უნახავს ქართველი ხალხის კულტურა და უგრძვნია მისი დიადი სული, მჯერა, რომ თქვენ პატარა ქვეყანას ბევრი რამ შეუძლია შესთავაზოს მსოფლიოს. აშკარაა, რომ საქართველოს წინაშე რთული პრობლემებია და არც თუ ისე ადვილია მათ გადასაწყვეტად მარტივი გზების მოძებნა. ჩვენ ამერიკაში ვიმედოვნებთ, რომ საქართველო იპოვის ამ პრობლემების გადაჭრის გზებს, ყველას ექნება საშუალება იცხოვროს მშვიდად და თქვენი ქვეყანა შეძლებს დაადგეს პროგრესისა და აყვავების გზას.

საუკეთესო სურვილებით —
**არნო მოსკი.**

ზურაბ ვაშაკიძე

## გმირნო — მამულის მადიდნო...

# ჩვენ თუ არ დავიწვით, ბნელს ვინ გაანათებს?

ოთახში სანთელი ენთო, კედლების გაყოლებაზე მსხდარი ქალები ჩამომსხდარიყვნენ, იცრემლებოდა სახლი და ეზო, ქუჩა და უბანი. ოთახში, სადაც გორის მოხალისეთა ბატალიონის მებრძოლი ჯონი კოჩლავაშვილი ესვენა, გვარდიელებს ყვავილები შემოჰქონდათ და კუბოსთან თავდახრილი დგებოდნენ.

იმ დღეს ერთი თვე შესრულდა გორში გამართული მიტინგიდან, რომელზეც ქალაქის ახალგაზრდობამ აფხაზეთში წასვლა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გადაწყვიტა. მომიტინგეებს შორის ოცდაორი წლის ჯონი კოჩლავაშვილიც იყო. არც მიკროფონი მოუთხოვია, არც წინ წამდგარა, გონებაში ერთი აზრი უტრიალებდა — აფხაზეთი!

მეორე დილით გორის სამხედრო კომისარიატს მიადგა, ერთი კვირის თავზე კი თბილისის აეროპორტში სოხუმისკენ გასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავში ჩაჯდა...

ტარიელ ხეჩუაშვილი, გორელი მოხალისე, კოლხიდაში ბრძოლების მონაწილე: „გორელი ჯონი, როგორც მას გვარდიელები ეძახდნენ, ბატალიონის სული და გული იყო. სამხედრო სამსახური ციმბირში ჰქონდა გავლილი და როგორც საუკეთესო ჩუბინს, მთელ ეშელონში ბადალი არ ჰყავდა, მასზე უკეთესად ვერავინ „ნადირობდა" მოთარეშეებზე. ერთ დღეს, ეს იყო 3 სექტემბერს ჯონი კოჩლავაშვილი ტყის პირას ჩაუსაფრდა მტერს და საღამოხანს გორის მოხალისეთა ბატალიონის შტაბის ეზოში ჩეჩნების „უაზით" შემოგრიალდა. მანქანის პატრონები — ორი ჩეჩენი და ერთი აფხაზი-სეპარატისტი გათოკილები მოიყვანა. ეს ამბავი მთელ ეშელონს მოედო, სარდლობის ყურამდეც მიაღწია და ავტომანქანა, როგორც სამხედრო ალაფი, ჯონის პირად სარგებლობაში გადასცეს.



ჯუმბერ ხუბაია, გორელი მოხალისე, გაგრა-კოლხიდის ბრძოლების მონაწილე: სექტემბრის შუა რიცხვებში მდგომარეობა კოლხიდაში მოულოდნელად გამწვავდა, ამას დაემატა მოროდიორობა და ბანდების აღმა-დაღმა თარეში. ჯონი რამდენიმე მებრძოლთან ერთად კოლხიდაში სპეციალური დანიშნულების ბატალიონში გადაიყვანეს. მან ახალ ადგილზე, როგორც ჩუბინმა, სარდლობის რამდენიმე განსაკუთრებული დავალება შეასრულა...

ასე დადგა 18 სექტემბერი. იმ ღამეს კოლხიდაში, „წითელ ხიდთან" წინა ხაზზე თავდაცვითი პოზიცია გვეკავა — სანგრებში ვისხედით. მთელი ღამე წვიმდა. ბრძოლით დაღლილები ერთმანეთზე ვიყავით მიყრდნობილი, გუშაგები ფხიზლობდნენ. რძისფრად ინათა, როდესაც შაშვებმა პირველად იყეფეს.

ჯონი კოჩლავაშვილი რაღაც ფრთხილმა ხმაურმა გამოაღვიძა, ისევ წვიმდა. სანგარში კოჭამდე წყალი დაგუბებულიყო, თვლემდნენ ნაომარი ბიჭები. ჯონი ფრთხილად წამოიმართა ზეზე, ტყისპირებს თვალი მოავლო. ფერდობზე ტყე თავდებოდა, მერე მანდარინის ბაღები მიუყვებოდა ზღვისკენ. ბიჭს გულმა რეჩხი უყო — შავი სილუეტები დაღონდა ბაღებში — ბუჩქებში ხანჯალშემორტყმული ჩეჩნები ფორთხვით მოცოცავდნენ ქვემოთ.

ირაკლი უნდილაშვილი (იგი სანგარში ჯონის გვერდით იწვა): ძილ-ღვიძილში ვიღაცის ხმა ჩამესმა: „ბიჭებო, ჩეჩნები!" — ყველანი წამოვცვივდით. სწორედ მაშინ კადრდ თვალი ჯონის — ზამბარასავით გაიშალა, სანგრიდან ამოხტა და იქვე, ცაცხვის ხეს ამოფარებულმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნა მტერს. იმავე წამს ჩვენც ფიცხელ ბრძოლაში ჩავებით. ბრძოლამ დაახლოებით ნახევარ საათს გასტანა, მტერი უკან იხევდა, უკვე გათენდა, თითქოს ამ შეტაკებიდან ყველანი უვნებელი უნდა გამოვსულიყავით. სწორედ ამ დროს ცაცხვის ხესთან — ვიღაცამ „ვაი, დედაო!", დაიძახა, დავინახე, როგორ ჩაიკეცა ჯონი კოჩლავაშვილი, მერე წაიქცა და სული გაფრქვა. მიმდევ დაიჭრა მეორე გორელი — ზურული ვიტალი ტიელიძე, ისიც რამოდენიმე საათში გათავდა.

ასე გათენდა 19 სექტემბრის დილა, ისევ მოქუფრულიყო ცა, ისევ წვიმდა.

მტერი უკუიქცა, ტყეს შეაფარა თავი და ახლა იქიდან უშენდა ტყვიას ქართველთა პოზიციებს.

ბატალიონში გორელ გიორგი გორგოშელს, იმის გამო, რომ ავღანეთის ომი ჰქონდა გამოვლილი, მეგობრები მოფერებით „დუშმანს" ეძახდნენ. სწორედ „დუშმანმა" იკადრა, მტრის ტყვიებს არ შეუშინდა, ხეებს შორის გახოხდა, ბრძოლის ველიდან ჯერ სულთმობრძავი ვიტალი ტიელიძე გამოიყვანა, შემდეგ — ჯონის გაციებული გვამი.

— ჯონი კოჩლავაშვილი რომ არა, იმ ღამეს ჩეჩნები სანგრებში ერთიანად ჩაგვხოცავდნენ, — ასე მითხრეს გორის მოხალისეთა ბატალიონის მებრძოლებმა.

მე მათ გორში თავიანთი მეგობრის დაკრძალვაზე შევხვდი. მხედრული პატივით დაკრძალეს ჯონი, მთელი ქალაქი გლოვობდა თავის გულად ვაჟკაცს.

...ზღვა ხალხი ირეოდა კოჩლავაშვილების ეზო-მიდამოში. ჯონის მამის, სულიკოს გვერდით ვიდექი. ეზოში ბატონი ნოდარ ნათაძე შემოვიდა, ჯარისკაცის მამას თანაგრძნობა გამოუცხადა. შემდეგ გენერალ ყარყარაშვილის სამძიმარი გადასცა და, როგორც ასეთ დროს გვჭირდება, ხომ არაფერი გჭირდებათ, ხომ არაფერი გიჭირთ?

შემძრა და გამაოცა მგლოვიარე მამის პასუხმა: „ვაიმე აღარ შემრჩა, რომ ომში გავგზავნე".

მხოლოდ უტეხ სულისა და ჯიშის ადამიანებს შეუძლიათ ამაღლდნენ საკუთარ უბედურებაზე.

კოჩლავაშვილებიც ამ ჯიშიდან მოდიან.

• • •

გმირი ჯარისკაცის დაღუპვიდან მეორმოცე დღეს ისევ გავიდნენ საფლავზე კოჩლავაშვილები — მშობლები, დები, ახლობლები, ჯონის გორელი და ფრონტელი მეგობრები. აი, წვერმოშვებული ტარიელ ხეჩუაშვილი, მახსოვს, ჯონის დაკრძალვაზე მკერდზე აფხაზეთში დაღუპული მეგობრის ფოტოსურათი ებნია. მხოლოდ ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ. ახლა უკვე ორი დაღუპული მეგობრის ფოტოსურათი მიუკრავს. ეს კი სომეხი ტარიელ სისოიანია, გორელ მოხალისეთა ბატალიონში ვაჟკაცობით ცნობილი ბიჭუკი. ტარიელმა თავისი ძმა ავთანდილი გამაცნო, ესეც აფხაზეთში ომობს, მითხრა.

— ტარიელ და ავთანდილ სისოიანები კი ხართ, მაგრამ რა გაუჭირდა მამათქვენს ისეთი, რომ ერთი ფრიდონიც არ მიაყოლა-მეთქი — ისე, სხვათაშორის ვკითხე.

— სწორედ რომ ფრიდონი ჰქვია ჩვენს მესამე ძმას, მიპასუხეს სისოიანებმა, — ისიც აფხაზეთში ომობს...

ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ სისოიანები, პორტრეტული ყმაწვილები, აფხაზეთში. მშობლები მათ მოლოდინში იცავენ. სამხედრო კომისარიატს არ გაუწვევია — ომში სამივენი მოხალისეებად წავიდნენ.

აი, როგორი შვილები ჰყავს საქართველოს!

...მწუხრის სუფრაზე პურზე ჭიქა წაუქციეს. ჯონი კოჩლავაშვილი, ვიტალი ტიელიძე, აფხაზეთში სხვა დაღუპულები მოიგონეს.

ჯონის თანამებრძოლები სუფრიდან მალე აიშალნენ — იმავე ღამით სოხუმს უნდა გაფრენილიყვნენ.

ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ კვლავაც ურთიერთნახვის რწმენითა და იმედით:

— ლესელიძეში შეხვედრამდე!!

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში.

## [illegible] ინფორმაცია

### მხოლოდ სომხეთის დელეგაცია ჩამოვიდა

გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთის, ბელარუსის, უკრაინის, სომხეთისა და საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობის გამო, თბილისში ჩამოსვლა მხოლოდ სომხეთის დელეგაციამ მოახერხა. ამიტომ, კონფერენცია ფაქტობრივად ორ ნაწილად გაიყო: მოსკოვში კონფერენცია გამართეს რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის, ხოლო თბილისში საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა. შემუშავდა ორგანიზაციის წესდების პროექტები, რის შემდეგაც, მოხდა ინფორმაციის გაცვლა ფაქსის საშუალებით. საბოლოო დოკუმენტზე, შეთანხმებული კავშირის დაფუძნების შესახებ, ხელმოწერა მოხდება 10 დეკემბერს ბელგიის ქალაქ ბრიუსელში.

### 5 დღის ხელფასი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის და აკად. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტებთან არსებულმა თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის თანამშრომლებმა საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 5 დღის ხელფასი — 87.615 მანეთი.

### ახლა 14 სტუმრის შენახვა?

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში არის ერთი გამორჩეული ოჯახი — მიმოზა ჩხენკელის და ედნარ ხალვაშისა. მიმოზამ მუხლჩაუხრელი შრომით სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა დაიმსახურა. ედნარი გონიოელმა მშრომელებმა აგროფირმის პრეზიდენტად აირჩიეს.

ისინი სხვა მხრივაც გამოირჩევიან: 1 თვის წინათ, შეიფარეს აფხაზეთიდან ლტოლვილი 14 სულისაგან შემდგარი 4 ოჯახი. ესენია ქანთარიები, ფაჩულიები, ბუალავები, პეიშვილები. ლტოლვილთაგან 7 ბავშვია.

რაც მთავარია, მათ არც სოფლისთვის უთხოვიათ დახმარება, არც ზემდგომი ორგანოებისთვის, თვითონ მასპინძლობენ ლტოლვილებს.

### თანადგომა — მეომრებს

როგორც სიღნაღის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ თამაზ ბურდულაძემ შეგვატყობინა, შეიქმნა რაიონის მებრძოლთა რაზმი, რომელიც ჩაირიცხა რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში და მზად არის, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. მეომრების შეიარაღება და ტანსაცმლით შემოსვა თავად რაიონის მშრომელებმა ითავეს.

გარდა ამისა, რაიონმა აფხაზეთში მებრძოლ მეომრებს გაუგზავნა ტანსაცმელი და სურსათი, თავდაცვის ფონდში კი ასეულ ათასობით მანეთი ჩარიცხა.

### გვექნება თუ არა გათბობა?

ახალი გათბობის სეზონში თბილისში მკაცრი ნორმებია დაწესებული. წარსულ წლებში სახლებს ცენტრალურ გათბობაში ჩართავდნენ, თუ ხუთი დღის განმავლობაში ჰაერის საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა 8 გრადუსი იყო, ახლა კი დაწესებულია სამი დღე, როცა თერმომეტრი უნდა უჩვენებდეს 5 გრადუსს და ნაკლებს. და კიდევ ერთი „სასიამოვნო სიურპრიზი" — გათბობის სეზონი საუკეთესო შემთხვევაში ნოემბრის ბოლოს დაიწყება, მაგრამ ესეც მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ჩვენი ქვაბები უზრუნველყოფილი იქნებიან გაზით, რომელიც ჯერჯერობით არ არის საკმარისი. დიდ იმედებს ვამყარებთ ჩრდილოეთ კავკასიაში აფეთქებული გაზსადენის ამოქმედებაზე. როგორც ვიცით, აღდგენითი სამუშაოები იქ უკვე მთავრდება.

მაგრამ საქმე მარტო გაზის კი არა, ელექტროენერგიის რიტმული მიწოდებაც არის. შარშანდელი მწარე გამოცდილებით, ხშირად ირთვებოდა ელექტროენერგია, რაც უაღრესად საგრძნობი იყო თბილისელებისათვის. უკვე რამდენიმე ხანია, შეწყდა ცხელი წყლის მიწოდება გრაფიკით, ისევ და ისევ გაზის ნაკლებობის გამო. ჩვენი საქვაბეები მზად არის მუშაობისათვის. თუ იქნება გაზი და ელექტროენერგია, — ქალაქელები უზრუნველყოფილი იქნებიან სითბოთი და ცხელი წყლით.

ცოტაც გაიღიმეთ



გაზეთი ყველასათვის.

თეიმურაზ ფაფერაშვილის ნახატი.

## ჯარის მადლობა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო მადლობას უხდის ორგანიზაციებს, რომლებმაც ჯარების ანგარიშზე ჩარიცხეს თანხები. კერძოდ, ახმეტის „სამტრესტის" სამრეწველო კომერციულმა ფირმამ „ქისტაურმა" ჩარიცხა 150 000 მანეთი, საგარეჯოს მრავალდარგოვანმა მცირე საწარმომ „მიხაკმა" — 200 000 მანეთი, სიღნაღის რაიონის მეღვინეობის სამრეწველო კომერციულმა ფირმამ „ჩინებამ" — 500 000 მანეთი, ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის ღვინის ქარხანამ — 200 000 მანეთი, ლაგოდეხის ავტოსატრანსპორტო საწარმომ — 20 000 მანეთი, ლაგოდეხის ჰაბუციანის კოლმეურნეობამ — 200 000 მანეთი და ლაგოდეხის ფიჩხი-ბოგოროს კოლმეურნეობამ — 50 000 მანეთი. თანხების გადარიცხვა გრძელდება.

ცნობისათვის, შეგახსენებთ შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს ანგარიშის ნომერს. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო ანგარიში № 000609005 მფო. 521006.

ნ. ბუჯაძე,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს სარდლის პირველი მოადგილე, შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი.

წერილი სენაკიდან

## მამის მწუხარება



ბატონო ანდრია!

ჩემი ქალიშვილი ლინა, რომელიც თქვენ ხშირად გახსენებდათ, ვერაგულად, წამებით მოკლეს სოხუმში გარეწრებმა.

ჩემი აზრით, მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოსათვის არა მარტო აფხაზეთის აკადემიაში მთავარ ბუღალტრად მუშაობის პერიოდში, არამედ დღევანდელ მძიმე განსაცდელის ჟამსაც სოხუმში. ის იარაღით ხელში გვერდით ედგა თავის გვარდიელ შვილსა და მის ამხანაგებს, რომლებსაც აპურებდა და ურეცხავდა, აცილებდა ბრძოლის ველზე.

ლინა დღეს არ არის ცოცხალი, ტყვიებით დაცხრილული და ხელებდამტვრეული წევს სოხუმის მიწაში.

დაე, ეს ყველამ იცოდეს საქართველოს აკადემიაში, დაე, ეს ყველგან იცოდნენ საქართველოში.

დიდი პატივისცემით ლინას მამა ტატარი ეჯიბია.

სენაკი.

ეს წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრია აფაქიძემ ახლახან მიიღო სამშობლოსათვის თავგანწირული ქალის მამისაგან და ჩვენს რედაქციას გადმოსცა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი

ლინა ტატარის ასული ეჯიბია

და სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახს.

## ცხონება

### თეიმურაზ ძიძიგური



აფხაზეთში, სოფელ შრომასთან შეტაკებას კიდევ ერთი ქართველი შეეწირა — დაიღუპა თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა და ხელოსნებისა და ზემდეგთა მომზადების მასწავლებელი, 101-ე ბატალიონის კაპიტანი, რუსთავის მკვიდრი, 38 წლის თეიმურაზ ძიძიგური.

თეიმურაზს მუდამ ემახსოვრებათ, როგორც მოსიყვარულე მამა და მეუღლე, უაღრესად კეთილშობილური პიროვნება, რომელმაც ერთნაირად დასწყვიტა გული მეგობრებს, ახლობლებს ყველას, ვინც კი იცნობდა.

ღმერთმა განანათლოს მისი სული.

### თამაზ ზოროიანი



8 ნოემბერს სოფელ შრომასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს ქართველი ვაჟკაცების გვერდით გმირულად დაიღუპა ეროვნებით ქურთი, 22 წლის თამაზ ზოროიანი.

იგი იბრძოდა გვარდიის პირველ ბატალიონში, იყო უფროსი სერჟანტი, იბრძოდა მოწინავე ხაზზე და ქართული მიწა-წყლის დასაცავად არ დაიშურა თავისი სიცოცხლე.

თამაზ ზოროიანის დაღუპვა უდიდესი გულისტკივილი იყო დედ-მამის, და-ძმების, ახლობლებისა და მეგობრებისათვის.

მუდამ ემახსოვრებათ იგი — საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპული ქურთი ჭაბუკი, რომელმაც ქართველ ვაჟკაცებთან ერთად ძმათა სასაფლაოზე დაიმკვიდრა სამარადჟამო სასუფეველი.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი სამძიმარს უცხადებს კავშირის წევრს ბატონ დავით დემეტრაშვილს და მის ოჯახს მამის

სერგო დავითის ძე დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო.

მებაღეთა რესპუბლიკური გაერთიანება სამძიმარს უცხადებს გაერთიანების თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი შენგელიას და მის ოჯახს მამის

აბესალომ ირაკლის ძე შენგელიას

გარდაცვალების გამო.


## გამოიწერეთ!

ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა



ტრადიციული, ოპერატიული, ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი

გახსოვდეთ: ხელმომწერთათვის ჩვენი გაზეთის ერთი ეგზემპლარი ღირს მხოლოდ 1 მან და 30 კაპ. საცალო ვაჭრობაში კი 3 მანეთად გაიყიდება.

გაისად, ინფლაციის მიუხედავად, გაზეთის ფასს შევინარჩუნებთ.

ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ღირს, ერთი წლით კი 468 მანეთი დაგიჯდებათ.

იმათ კი, ვისაც მთლიანად 1992 წლისთვის ჰქონდა გამოწერილი ჩვენი გაზეთი და დაგვატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადა 6 თვის ნოემბრის ღირებულება 110 მანეთი ან 4 თვისა — [illegible] მანეთი, სათანადო ქვითრის წარდგენის შემთხვევაში ეს თანხა საგაზეთო ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

„საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერის დამთავრებამდე მხოლოდ 13 დღე რჩება!

იჩქარეთ, არ დაგვიგვიანდეთ 1993 წლისათვის ხელმოწერის გაფორმება!


გამოცემისთვის „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

### საერთაშორისო კონსილიუმი

16 ნოემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო თათბირმა, რომელზეც განიხილავენ კავკასიის სეისმოლოგიის საკითხებს, კერძოდ აანალიზებენ რაჭის დამანგრეველი ძალის მიწისძვრის მიზეზებსა და შედეგებს. თათბირის გამართვის ორგანიზატორები არიან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი და ევროპის მიწისძვრათა დაპროგნოზებისა და წინასწარი შეტყობინების ცენტრი.

ინგლისის, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის მეცნიერები ქართველ კოლეგებთან ერთად ხუთი დღის განმავლობაში განიხილავენ კავკასიის სეისმოტექტონიკისა და სეისმოლოგიის აქტუალურ საკითხებს, მეცნიერების მიღწევებს ამ დარგში, აგრეთვე მიწისძვრის „ქარიშხლების" წარმოქმნისა და პროგნოზის საიდუმლოებათა წვდომის სფეროში.

### ლტოლვილთა და გვარდიის დასახმარებლად

ამ დღეებში თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საზოგადოება „კახეთის" თელავის რაიონულმა ორგანიზაციამ გამართა საქველმოქმედო საღამო. ნაჩვენები იქნა დოკუმენტურ-მუსიკალური ფილმი: „წინანდალი", რომლის რეჟისორია დიმიტრი გუგუნავა, ოპერატორი — რამაზ ბატატუნაშვილი, სცენარის ავტორი — მანანა შევარდნაძე. შემდგომ გაიმართა კონცერტი ანსამბლ „თელავის" მონაწილეობით. ბოლოს გათამაშდა ლატარია. შემოსული თანხიდან 30 ათასი მანეთი გადაირიცხა აფხაზეთიდან ლტოლვილთა ფონდში.

ამ საერთო გაჭირვების ჟამს თელაველები ზრუნვას არ აკლებენ ეროვნულ გვარდიას. ნაფარეულელმა ომარ მოსიაშვილმა ღვინის ქარხანას ჩააბარა ერთი ტონა ყურძენი და მისი ღირებულება თავდაცვის ფონდში გადარიცხა.

ზურაბ არსენიშვილი

20 კაცი მუშაობს ჭიათურის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრ „მანგანუმში". ყველამ, როგორც ერთმა, გადაწყვიტა შეიტანოს თავისი წვლილი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში და გადარიცხეს 50 ათასი მანეთი არმიის დახმარების ფონდში. მაღაროთსამმართველოების ყველა კოლექტივისადმი მიღებულ მიმართვაში ცენტრმა გამოთქვა წინადადება მიბაძონ მის მაგალითს და შეიტანონ ორისამი დღის ხელფასი არმიის დახმარების ანგარიშზე, რომელიც სპეციალურად გაიხსნა ეროვნული ბანკის ჭიათურის განყოფილებაში. წერეთლის სახელობის, დარკვეთის, მღვიმევის, ითხვისის, შუქრუთის, სხვა მაღაროთსამმართველოებში, მამდიდრებელ ფაბრიკებში, მექანიკურ სახელოსნოებში მიმდინარეობს სახსრების მასობრივი შეგროვება.

### ლიდერი „შეფერხდა"

ჩინეთის ქალაქ შანხაიში მიმდინარე პრეტენდენტთა ტურნირის მორიგი ტურის პარტიებმა მონაწილეთა მდგომარეობა უცვლელი დატოვა.

ყაიმზე შეთანხმდნენ იოსელიანი-პოლგარი, ჩიბურდანიძე-მარიჩი, გაფრინდაშვილი-ლევიტინა, ხოლო ჩინელების — ცინისა და ვანგის პარტია გადაიდო.

თერთმეტი ტურის შემდეგ პოლგარს 10 ქულა აქვს, ჩიბურდანიძეს — 6,5, იოსელიანს — 6, მარიჩს — 5,5, ცინს და ლევიტინას — 5-5 და 2-2 გადადებული პარტია. გაფრინდაშვილის მონაგარი 4 ქულას შეადგენს.

### საჭადრაკო რუკაზეა უნგრეთი

ამ დღეებში ბუდაპეშტში იწყება ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს (გუნდის კაპიტანი — გიორგი მაჭარაშვილი).

ჩვენი ქვეყნის ვაჟთა გუნდის შემადგენლობა ასეთია: ზურაბ სტურუა, გია გიორგაძე, ლაშა ჯანჯღავა, ხვიჩა სუპატაშვილი და გიორგი ყაჭეიშვილი.

ქალთაგან უნგრეთს გაემგზავრნენ ქეთევან არახამია, ნინო გურიელი და ქეთევან კახიანი.

რინგი

### მინი-ფეხბურთის მაქსი — სანახაობა

ჰონკონგში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. 4 ქვეჯგუფიდან 2-2 საუკეთესო ნაკრები გააგრძელებს ბრძოლას ოქროს მედლებისათვის.

პირველი გამარჯვებები მოიპოვეს სასტარტო შეხვედრებში ფავორიტებმა — არგენტინისა და ბრაზილიის, აგრეთვე ბელგიის ეროვნულმა გუნდებმა.

### რედოკ ბოუინი — ახალი ჩემპიონი

მსოფლიო ჩემპიონი მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის გახდა სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ამერიკელი რედოკ ბოუინი, რომელმაც ლას-ვეგასის რინგზე გამართულ 12-რაუნდიან დუელში ქულებით დაამარცხა აწ უკვე პლანეტის ექს-ჩემპიონი, თანამემამულე ევანდერ ჰოლიფილდი.

### ტოკიოს ქუჩებში

ტოკიოს ტრადიციული მარათონი ქალთა შორის მოიგო ინგლისელმა ლიზ მაკგოლჰენმა.

### შოუ მადრიდში

კალათბურთის ზეიმად იქცა მადრიდში გამართული ესპანეთისა და იტალიის — ევროპის უძლიერესი ლიგების — ნაკრებთა მატჩი, რომელშიც მხოლოდ ამ ქვეყნების კლუბებში მოთამაშე საზღვარგარეთელმა ვარსკვლავებმა ითამაშეს.

შეხვედრის შედეგია 136:123 (73:56) „ესპანელთა" სასარგებლოდ. მათ შორის საუკეთესონი იყვნენ ამერიკელი ანდრე ტერნერი (24 ქულა) და ლიტველი არვიდას საბონისი (22 ქულა), რომელიც ამჟამად მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავს.

## სევდანარევი მისალოცი

რამდენიმე ტურიც, და დასრულდება ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე. დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება.

მდგომარეობა 18 ნოემბრისათვის

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „დინამო" | 12 | 10 | 1 | 1 | 26-6 | 31 |
| 2. | „შევარდენი-1906" | 11 | 7 | 2 | 2 | 24-10 | 23 |
| 3. | „კოლხეთი-1913" | 12 | 7 | 2 | 3 | 23-13 | 23 |
| 4. | „ალაზანი" | 11 | 7 | 2 | 2 | 23-15 | 23 |
| 5. | „მარგვეთი" | 12 | 7 | 1 | 4 | 22-21 | 22 |
| 6. | „სამგურალი" | 13 | 6 | 4 | 3 | 27-21 | 22 |
| 7. | „გორდა" | 12 | 6 | 3 | 3 | 34-23 | 21 |
| 8. | „ტორპედო" | 12 | 6 | 2 | 4 | 21-13 | 20 |
| 9. | „დილა" | 12 | 6 | 0 | 6 | 19-20 | 18 |
| 10. | „მრეტები" | 10 | 4 | 1 | 5 | 16-16 | 13 |
| 11. | „ივერია" | 12 | 4 | 1 | 7 | 14-24 | 13 |
| 12. | „ბათუმი" | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 13. | „კახეთი" | 12 | 3 | 2 | 7 | 13-23 | 11 |
| 14. | „გურია" | 11 | 3 | 1 | 7 | 9-22 | 10 |
| 15. | „სამტრედია" | 11 | 2 | 1 | 8 | 11-21 | 7 |
| 16. | „ცხუმი" | 12 | 1 | 1 | 10 | 21-34 | 4 |
| 17. | „ოდიში" | 6 | 0 | 0 | 6 | 6-17 | 0 |

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და ქართული ფეხბურთისათვის მნიშვნელოვანი თარიღი — 18 ნოემბერი გვსურს მივულოცოთ ჩვენი პირველი დიდი საერთაშორისო გამარჯვების — 1964 წლის ტაშკენტის ტრიუმფის თითოეულ სულისჩამდგმელსა და შემოქმედს, აგრეთვე დინამოელთა შემდგომი თაობის გამორჩეულ ვარსკვლავს — დავით ყიფიანს, რომელსაც დღეს 41 წელი შეუსრულდა.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში გვექნება სათანადო განწყობილება და საშუალება, რათა საკადრისად აღინიშნოს ქართველ გულშემატკივართა საფიცარი მოვლენის წლისთავი.

## ჩვენი მწარე სინამდვილე

# ერთი კვირა უგაზეთოდ

თბილისიდან ჩამოსული საფოსტო მანქანიდან ჟურნალ-გაზეთების შეკვრების გადმოღებას ლამის საათი სჭირდებოდა. შეკვრებს ტრანსპორტიორზე აწყობდნენ და ახლა პრესის დახარისხების დარბაზში იწყებოდა ფუსფუსი, რომ გაზეთი რაც შეიძლებოდა მალე მისულიყო ხელმომწერებთან, გახსულიყო საცალო ვაჭრობის ქსელში და ასე შემდეგ.

დღეს, გორის კავშირგაბმულობის კვანძის წერილობითი კორესპონდენციებისა და ჟურნალ-გაზეთების დახარისხების დარბაზში სიჩუმეა, ტრანსპორტიორიც ერთ ადგილზე გაჩერებულა და ჩართვადაც არ ღირს, რადგან ოცი-ოცდაორი „საქართველოს რესპუბლიკის" შეკვრის მიღებას სოულიბითაც არ სჭირდება ტექნიკის მიღწევების დემონსტრირება.

ხვალ ერთი კვირა შესრულდება, რაც გორში და არა მარტო გორში, ჟურნალ-გაზეთები არ მიუღიათ. მიზეზი ცნობილია, უბენზინობა, თუმცა არ ვიცით, კავშირგაბმულობის სამინისტრომ სხვა რა საშუალება იღონა, რომ მთელი კვირის მანძილზე თბილისიდან 80 კილომეტრზე ჟურნალ-გაზეთები თუნდაც ერთხელ, ვთქვათ მატარებლით, ან ავტობუსით გამოეგზავნა.

უბენზინობა მიზეზად ვერ გამოდგება. მიზეზი კი არა, ეს პოზიციაა უთუო, თანაც იმათი, ვისაც სულაც არ აღელვებს, მიიღებს თუ არა ხელმომწერი გაზეთს, გამოიწერს თუ არა „საქართველოს რესპუბლიკას" მომავალი წლისათვის, რომლის წლიური ხელმოწერა 468 მანეთია. დაუმატეთ ამას იმ გულარხეინობისა და უდარდელობის ფასიც, რომელსაც ისევ ხელმომწერი ზღავს ხოლმე და მიხვდებით, რატომ უჭირს მოქალაქეს გაზეთის გამოწერა, როცა დარწმუნებულია, რომ მას ვერც დროულად და ვერც რეგულარულად ვერ მიიღებს.

თუ კი გორში თბილისიდან ერთი კვირის თავზე მაინც ჩამოვა გაზეთები, მათი ბედი უკვე გადაწყვეტილია: კიოსკიორები უარს ამბობენ ძველი ჯაღლდასული გაზეთების მიღებაზე; ისინი იმეორებენ ჟურნალისტებისათვის აგრერიგად ცნობილ სენტენციას იმის შესახებ, რომ „გაზეთი ერთი დღით ცოცხლობს".

პაპლე გურამიშვილი.


მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0483.